ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

სანდრო ზოიძე

არაბული ქვეყნები აბრაამის შეთანხმებაში: სტრატეგიული არჩევანი და შედეგები

თბილისი, 2025

აბსტრაქტი

2020 წელს აშშ-ს ინიციატივით დაიდო აბრაამის შეთანხმება, რომელმაც საუფუძველი ჩაუყარა ურთიერთობების ნორმალიზაციას ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ არაბეთის გაერთიანებული საამიროები და ბაჰრეინი ისტორიულად დაპირისპირებაში არიან ისრაელთან, რასაც იდეოლოგიური განსხვავებები და პალესტინის საკითხთან დამოკიდებულება განაპირობებს, მათ გადაწყვიტეს აბრაამის ხელშეკრულების გაფორმება და ისრაელთან ღია კავშირების დამყარება.

კვლევის მიზანია აღნიშნული სახელმწიფოების მიერ ტრადიციული საგარეო პოლიტიკიდან გადახვევის ძირითადი მოტივების შესწავლა. ჰიპოტეზა ხაზს უსვამს იმას, რომ არაბეთის გაერთიანებული საამიროებისა და ბაჰრეინის მონაწილეობა აბრაამის შეთანმხებაში წარმოადგენს პრაგმატულ გადაწყვეტილებას ირანის რეგიონული საფრთხეების შესაკავებლად, რასაც ხელი შეუწყო აშშ-ს დიპლომატიურმა ჩართულობამ და შეთანხმებით განსაზღვრულმა ეკონომიკურმა სტიმულებმა.

ემპირიული დასკვნების გამოსატანად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები. კვლევის დიზაინად არჩეულია შემთხვევის შესწავლის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა სიღრმისეულად შევისწავლოთ არაბეთის გაერთიანებული საამიროებისა და ბაჰრეინის მაგალითები.

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია სტრუქტურული რეალიზმი, რაც ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოთა ქცევაზე საერთაშორისო სისტემის გავლენაზე. აღნიშნული თეორიიდან გამომდინარე გაანალიზებულია ბაჰრეინისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების საგარეო პოლიტიკის ცვლილებები, როგორც ირანთან, ასევე ისრაელთან.

საკვანძო სიტყვებია: ახლო აღმოსავლეთი, ბაჰრეინი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ირანი, აშშ, პალესტინის საკითხი, ნორმალიზაცია.

Abstract

In 2020, the United States has initiated Abraham Accords, which laid the foundation for the normalization of relations between Israel and several Arab states. Despite the fact that the United Arab Emirates and Bahrain have historically been in conflict with Israel, which is due to ideological differences and their attitude to the Palestinian issue, they decided to sign the Abraham Accords and establish open ties with Israel.

This aim of this thesis is to analyze the primary motivations behind this shift in foreign policy. Our hypothesis is that the decisions of the United Arab Emirates and Bahrain to participate in the Abraham Accords reflect pragmatic decision to balance regional threats posed by Iran. The decision was further facilitated by U.S. diplomatic pressure and the economic incentives embedded in the agreement.

Qualitative research methods are used to draw empirical conclusions. The research design uses a case study approach, which allows for an in-depth study of the examples of the United Arab Emirates and Bahrain. The theoretical framework is grounded in structural realism, focusing on the influence of the international system on state behavior. This perspective is used to interpret foreign policy realignments vis-à-vis both Iran and Israel.

Keywords: Middle East, Abraham Accords, Bahrain, United Arab Emirates, Iran, United States, structural realism, normalization

სარჩევი

აბსტრაქტი 2

აბრევიატურები 5

შესავალი 6

კვლევის მიზანი, მისი სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა 7

საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა, ცვლადები 8

ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაცია 9

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია 10

თეორიული ჩარჩო - სტრუქტურული რეალიზმი, (ნეორეალიზმი) 12

ტერმინთა განმარტება 14

ლიტერატურის მიმოხილვა 17

ისტორიული წინაპირობა 21

ირანი და მისი ამბიციები ახლო აღმოსავლეთში 23

არაბეთის გაერთიანებული საამიროები - მაგალითის შესწავლა 26

ბაჰრეინის მაგალითის შესწავლა 29

აშშ-ს ინტერესები და აბრაამის შეთანხმების ეკონომიკური ასპექტები 32

ბაჰრეინის და არაბეთის გაერთიანებული საამიროების შედარება 36

თეორიული ჭრილი 38

ძირითადი მიგნებები 41

დასკვნა 43

ბიბლიოგრაფია 46

ინგლისური წყაროები 46

ქართული წყაროები 50

აბრევიატურები

UAE - არაბთა გაერთიანებული საამიროები

INSS - ეროვნული უსაფრთხოების შემსწავლელი ინსტიტუტი

PLO - პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაცია

FPRI – საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტი

GCC - ყურის თანამშრომლობის საბჭო

DFC - საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაცია

შესავალი

2020 წლის სექტემბერში ახლო აღმოსავლეთში, მშვიდობის დამყარების იმედი გაღვივდა. კერძოდ, ისრაელსა და სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებს შორის ხელი მოეწერა აბრაამის შეთანხმებას, რომელიც ურთიერთობების ნორმალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯია. დიდი ხნის მანძილზე, როდესაც არაბულ სამყაროსა და ისრაელს შორის ომები რეგიონის გეოპოლიტიკას განსაზღვრავდა, წარმოუდგენელი იყო დიპლომატიურ ურთიერთობებზე საუბარი. თუმცა, 2020 წლის სექტემბერში, თეთრ სახლში ხელი მოეწერა აბრაამის შეთანხმებებს, რომლებიც ცნობილია, როგორც აბრაამის ხელშეკრულებები, რის შემდეგადაც ფორმალური ურთიერთობები დამყარდა ერთი მხრივ, ისრაელსა, ხოლო მეორე მხრივ, არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და ბაჰრეინს შორის.

იმ დროს, როდესაც რეგიონი სერიოზული არასტაბილურობით ხასიათდებოდა, რაც დღესაც გრძელდება, ხელშეკრულებებმა ერთმანეთს დააკავშირა აშშ, ისრაელი და ის რეგიონული პარტნიორები, რომლებსაც საერთო საფრთხედ მიაჩნდათ, როგორც რადიკალური ისლამისტური ჯგუფები და მათი ქმედებები, ასევე ირანის რეგიონული აქტიურობა. ამ შეთანხმებამ გახსნა შესაძლებლობის ფანჯარა სამხედრო, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მიმართულებით თანამშრომლობისთვის. ამ შეთანხმების შედეგად ისრაელმა დაიწყო თანამშრომლობა ეგვიპტესა და საუდის არაბეთთანაც.

წლების მანძილზე, ცენტრალური პრობლემა, რომლის გამოც ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის დაახლოება რთულდებოდა, პალესტინის საკითხი იყო. 1950-იანი წლებიდან მოყოლებული არაბული სახელმწიფოები პალესტინას მტკიცედ უჭერენ მხარს და ისრაელთან ურთიერთობების დამყარების წინაპირობაც, სწორედ ამ საკითხის გადაჭრა იყო. თუმცა ბაჰრეინმა და არაბეთის გაერთიანებულმა საემიროებმა ეს „წითელი ხაზი“ გადაკვეთეს, რამაც გააჩინა ლეგიტიმური შეკითხვა, თუ რა გახდა ამ გადაწყვეტილების მიზეზი? (ლომიძე 2023).

წინამდებარე ნაშრომი ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობა იქნება. ზოგის თვალსაზრისით, ისრაელი, როგორც დემოკრატიული, სტაბილური და კაპიტალისტური ქვეყანა რეგიონში, ფინანსურად და ეკონომიკურად მიმზიდველია ახლო აღმოსავლეთის არც ისე დემოკრატიული მონარქიებისთვის. სხვები აქცენტს ამერიკის როლზე და ტრამპის ადმინისტრაციის მიერ არაბულ სახელმწიფოებზე გაზრდილ დიპლომატიურ წნეხზე აკეთებენ.

თუმცა, ჩვენ შევეცდებით მთავარი ყურადღება რეგიონულ დინამიკაზე და უსაფრთხოების საკითხებზე შევაჩეროთ. ისრაელი, ბაჰრეინი და არაბეთის გაერთიანებული საამიროები ირანს მთავარ გეოპოლიტიკურ საფრთხედ აღიქვამენ, საერთო საფრთხე კი, როგორც ადამიანებში, ისე სახელმწიფოებში ძალების გაერთიანების ინსტინქტს აჩენს. შეიძლება ითქვას, რომ უპირველესი გეოპოლიტიკური ფაქტორი, რამაც "დიდი შერიგების" პროცესი ადგილიდან დაძრა ირანის მზარდი გავლენებია, რომელიც, როგორც ისრაელისთვის, ისე არაბული ქვეყნებისთვის ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს.

კვლევის მიზანი, მისი სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა

წინამდებარე ნაშრომის მთავარი საკვლევი საკითხია იმის გარკვევა, თუ რა გარემოებებმა განაპირობა გაერთიანებული არაბთა საამიროების და ბაჰრეინის მონაწილეობა აბრაამის შეთანხმებაში. კერძოდ, რატომ გადაწონა სხვა ფაქტორებმა პალესტინის საკითხის მნიშვნელობა და რამ გამოიწვია ამ ქვეყნების ტრადიციული მიდგომის გადახედვა. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია, თუ რა რეგიონული ტენდენციები შეიმჩნეოდა შეთანხმების გაფორმების პერიოდში და შესაძლებელია თუ არა ამ ფაქტორებზე დაყრდნობით დასაბუთებული და ლოგიკური დასკვნის გაკეთება.

ტრამპის დაბრუნება თეთრ სახლში აბრაამის შეთანხმებას ახალ აქტუალობას სძენს. მისი ადმინისტრაციის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ ამოცანას ახლო აღმოსავლეთში ძალთა ბალანსის ცვლილება წარმოადგენს ირანის საწინააღმდეგოდ.

არსებობს მოლოდინი, რომ ტრამპი შეეცდება ამ შეთანხმების გაფართოებას და მასში სხვა არაბული სახელმწიფოების ჩართვას. ისრაელ-პალესტინას შორის ბოლო წელს მიმდინარე სამხედრო დაპირისპირება, ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს უსაფრთხოების დინამიკას რეგიონში. ამ ფონზე ნაშრომი შეეცდება უკეთესად ახსნას ჩართულ სახელმწიფოთა მოტივები და დაგვეხმაროს ვითარების უკეთ ანალიზსა და განჭვრეტაში.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ წყაროებში არაერთი მასალა არსებობს აბრაამის შეთანხმების შესახებ, ამ ნაშრომის კონტრიბუცია იქნება წარმოადგინოს არაბეთის გაერთიანებული საამიროებისა და ბაჰრეინის შედარებითი ანალიზი და სიღრმისეულად ახსნას მსგავსება და სხვაობა მათ გადაწყვეტილებებში. გარდა უსაფრთხოების საკითხებისა, რომელიც კვლევის მთავარი მიმართულებაა, ნაშრომში შუალედური ცვლადის სახით გაანალიზებული იქნება შეთანხმების მიღწევის პროცესში როგორც დიპლომატიური, ასევე ეკონომიკური ასპექტები, რაც მკითხველს უფრო ფართო სურათის წარმოდგენის საშუალებას მისცემს.

საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა, ცვლადები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაშრომის მთავარ ამოცანას წარმოადგენს არაბული სახელმწიფოების ისრაელთან თანამშრომლობის მოტივაციის კვლევა. შესაბამისად, საკვლევი კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად - რატომ მოაწერეს ხელი არაბეთის გაერთიანებულ საამიროებმა და ბაჰრეინმა აბრაამის შეთანხმებას ?

აღნიშნული საკითხის შესწავლისას ჰიპოთეზა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად - არაბეთის გაერთიანებული საამიროებისა და ბაჰრეინის მონაწილეობა აბრაამის შეთანხმებაში წარმოადგენს სტრატეგიულ გადაწყვეტილებას ირანის რეგიონული საფრთხეების დასაბალანსებლად, რასაც ამავდროულად, ხელი შეუწყო აშშ-ს დიპლომატიურმა წნეხმა არაბულ სახელმწიფოებზე და შეთანხმებით განსაზღვრულმა ეკონომიკურმა სტიმულებმა.

ეს ჰიპოთეზა ეფუძნება წინაპირობას, რომ ბაჰრეინი და არაბეთის გაერთიანებული საამიროები უსაფრთხოების კუთხით ირანს აღიქვამენ როგორც მნიშვნელოვან და მზარდ საფრთხეს რეგიონში, რის საპასუხოდაც ისინი მზად არიან სტრატეგიულ ალიანსებში გაწევრიანებისთვის ისეთ არატრადიციულ პარტნიორებთან, როგორიცაა ისრაელი, თუ ეს კავშირები შეამცირებს მათ უსაფრთხოების რისკებს და უზრუნველყოფს აშშ-ს მხარდაჭერას.

ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაცია

ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზის მიხედვით ცვლადები განისაზღვრა შემდეგნაირად:

დამოუკიდებელი ცვლადია - ირანისგან მომავალი საფრთხე არაბეთის გაერთიანებული საამიროებისა და ბაჰრეინის უსაფრთხოებისთვის, რაც მოიცავს ირანის რეგიონულ აქტივობებს, სამხედრო შესაძლებლობებს, მარიონეტულ (პროქსი) ქსელებსა და კავშირებს.

შუალედურ ცვლადებს წარმოადგენს

- ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური ჩართულობა და წნეხი ყურის სახელმწიფოებზე მოეხდინათ ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზება;
- მეორე მხრივ, ეკონომიკური ინსენტივები და შეთანხმებით მიღებული სარგებელი (ვაჭრობა, ინვესტიციები, წვდომა ტექნოლოგიებზე)

დამოკიდებული ცვლადია, ბაჰრეინის და არაბეთის გაერთიანებული საამიროების გადაწყვეტილება ხელი მოეწერათ აბრაჰამის ხელშეკრულებისთვის და დაეწყოთ მისი პრაქტიკაში განხორციელება.

ნაშრომი იკვლევს ცვლადებს შორის ჩამოყალიბებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, რათა დადასტურდეს ჰიპოთეზის მართებულობა და გამოიკვეთოს ბაჰრეინისა და

არაბეთის გაერთიანებული საამიროების საგარეო პოლიტიკის ცვლილებების ძირითადი ტენდენციები.

კვლევის დიზანი და მეთოდოლოგია

ნაშრომის ყოვლისმომცველი ანალიზისთვის გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდი, რადგან ის საშუალებას გვაძლევს სიღრმისეულად გავიაზროთ კვლევის ცენტრალური კონცეფციები, მხარეთა მოტივაციები, აღქმები და საფრთხის შეფასებები, რაც რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით შეზღუდულად მიიღწევა. ნაშრომში, კერძოდ, ყურადღებას გავამახვილებთ ისრაელისა და არაბული ქვეყნების ქცევაზე და დავაკვირდებით, პროცესს რაშიც ფორმირდა მათი თანამშრომლობა.

კვლევის დიზაინად არჩეულია შემთხვევის შესწავლის (case study) მეთოდი, რისთვისაც შეირჩა არაბეთის გაერთიანებული საამიროებისა და ბაჰრეინის მაგალითები - პირველი არაბული სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს აბრაამის შეთანხმებას. ეს მეთოდი საშულებას მოგვცემს სიღრმისეულად დავაკვირდეთ აღნიშნული სახელმწიფოების გადაწყვეტილების განმაპირობებელ ფაქტორებს და გამოვიყენოთ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი, დროში განგრძობითი მეთოდები საკითხის საფუძვლიანი აღქმისთვის (Cresswell, 2009). აღნიშნული დიზაინი მისადაგებადია სხვადასხვა სფეროსთვის, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობებისთვის და გვეხმარება პროცესების და მისი მახასიათებლების უკეთ გაგებაში. ამავდროულად, მისი მონაცემები შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი, (Raikar, 2025), თუმცა ჩვენ, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად, თვისებრივ ანალიზზე ვფოკუსირდებით, კერძოდ:

თვისებრივი კონტენტ ანალიზი - რომელიც არის ტექსტური ანალიზის ყველაზე გავრცელებული ფორმა. იგი საშუალებას იძლევა დოკუმენტების, მედია საშუალებებისა და ჩანაწერების ობიექტურად გაანალიზებაში, რაც უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დასკვნებს და ყურადღებას ამახვილებს შინაარსობრივ მხარეზე (წულაძე, 2020). ჩვენ შემთხვევაში, აღნიშნული მოიცავს

საჯარო პირების განცხადებების, გამოსვლების, ფორმალური დოკუმენტებისა და შეთანხმებების ანალიზს.

დისკურს ანალიზი - ეს მეთოდი გამოიყენება იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ ესმით სხვადასხვა სახელმწიფოს ძალაუფლების განაწილება. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ერთი და იგივე კონცეფცია სხვადასხვა ავტორის მიერ განსხვავებულად შეიძლება ინტერპრეტირდეს. ეს არის კვლევის ისეთი მეთოდი, რომელიც ცდილობს გაარკვიოს რა იმალება ტექსტებსა და სიტყვებს შორის, ანუ რას ნიშნავს ის, რაც პირდაპირ არ ითქმება. ამ ტიპის ანალიზი ეფუძნება სემიოტიკას, რაც გულისხმობს სისტემის, ნიშნების გამოსახულებების გაანალიზებას (წულაძე). აღნიშნული რელევანტურია ჩვენს შემთხვევაში, რადგან საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, თემის მრავალი ასპექტი შესაძლოა საჯარო არ იყოს ან პირდაპირ არ გაცხადდეს. დისკურს ანალიზი კი ამ წინაღობის დაძლების ერთ-ერთი საშუალებაა.

პროცესის მიკვლევა და ისტორიული ანალიზი - არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი თვისებრივ კვლევაში, რომელიც აერთიანებს მიზეზობრივი პროცესის დაკვირვებასა და ისტორიული მოვლენების თანმიმდევრობას და ცდილობს გაიგოს წარსული. მისი ამოცანაა დაადგინოს მიზეზ- შედეგობრივი კავშირები არსებულ ფაქტებს შორის, რათა გავიგოთ თუ რატომ მოხდა ეს თუ ის მოვლენა (Richard Thorpe & Robin Holt). კაზუალობისა და ისტორიული ანალიზის მეთოდი ჩვენ შემთხვევაში დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან არაბულ სამყაროსა და ისრაელს შორის ურთიერთობა პირველ რიგში ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენებით არის განპირობებული და მათი ცოდნის გარეშე სწორი დასკვნის გაკეთება თითქმის შეუძლებელი ამოცანაა.

თეორიული ჩარჩო - სტრუქტურული რეალიზმი, (ნეორეალიზმი)

ბაჰრეინისა და არაბეთის გაერთიანებული საამიროების კონტექსტუალიზაციისთვის გამოყენებული იქნება სტრუქტურული რეალიზმი, რომელიც ასევე ცნობილია როგორც ნეორეალიზმი. ნეორეალიზმის თეორია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ასახსნელად მთავარ აქცენტს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის თავისებურებებზე აკეთებს. ამ თეორიის მიმდევრების აზრით, სტრუქტურა გვიჩვენებს თუ რა დამოკიდებულება არსებობს მის შემადგენელ ელემენტებს შორის და როგორ სისტემას აყალიბებენ ისინი. მაშინ როდესაც საშინაო პოლიტიკაში ურთიერთობა იერარქიული ხასიათისაა, საერთაშორისო სისტემის მთავარი განმსაზღვრელი მისი ანარქიულობაა, რაც გულისხმობს უზენაესი ხელისუფლების ან ცენტრალური მმართველობის არარსებობას, რომელიც სუვერენულ სახელმწიფოებს გააკონტროლებდა. შესაბამისად, შეგვიძლია გამოვყოთ ნეორეალიზმის თეორიის ორი ძირითადი საყრდენი, რომელიც საერთაშორისო სისტემის სტრუქტურით განისაზღვრება: 1. საერთაშორისო სისტემა უფრო მეტად ანარქიულია, ვიდრე იერარქიული ხასიათისა. 2. სისტემას შეადგენენ ერთი და იმავე ფუნქციების და შინაარსის მქონე, მსგავსი ერთეულები.

ნეორეალიზმის თეორიიდან გამომდინარე, საერთაშორისო სისტემა თავად განსაზღვრავს მისი შემადგენელი ელემენტების ქმედებას. ამ ერთეულების, ანუ ჩვენს შემთხვევაში სახელმწიფოების პასუხისმგებლობაა იზრუნონ საკუთარ თავზე და სწორედ ამიტომ, ისინი ლოგიკურად ესწრაფვიან ძალთა წონასწორობას სხვადასხვა საშუალებებით (მაგალითად, კავშირები, გაძლიერება, ომი)(რონდელი, 2006 94-110).

სტრუქტურული რეალიზმის თეორია უკავშირდება ამერიკელი პოლიტ მეცნიერის კენეთ უოლცის სახელს, რომელმაც თავის გამოქვეყნებულ ნაშრომში ,,საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ ახალ მიდგომას დაუდო საფუძველი. მისი წინამორბედისგან, მორგენთაუსგან განსხვავებით უოლცი არამხოლოდ უბრალოდ ძალისა და ძალთა

ბალანსის მნიშვნელობაზე წერდა, არამედ ხსნიდა, თუ რატომ არის ძალთა ბალანსი მუდმივი, უსასრულოდ განმეორებადი მოვლენა და ისიც ამ შემთხვევაში მიუთითებდა სისტემის სტრუქტურაზე, რომელიც განსაზღვრავს მისი მონაწილე ერთეულების ქცევის წესებს (თვალავაძე, 2016).

ჯონ მირშაიმერისა და კენეთ უოლცის მიხედვით, საერთაშორისო პოლიტიკა არ არის ცენტრალიზებული. ამას განაპირობებს ის, რომ არ არსებობს უზენაესი მთავრობა, რომელიც დაარეგულირებდა ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის. სახელმწიფოები ესწრაფვიან იმოქმედონ საკუთარი ინტერესების შესაბამისად და გაზარდონ მათი ძალები მაქსიმალურად. მიუხედავად სახელმწიფოების სუვერენულობისა, ისინი მაინც არიან დამოკიდებული სხვა აქტორებზე, რადგან ურთიერთქმედებენ მათთან საერთაშორისო სისტემაში და მათთან დახმარებით თუ მეტოქეობით ცდილობენ მოაგვარონ საშინაო თუ საგარეო პრობლემები.

ნეორეალიზმისთვის, ამასთან ერთად, დამახასიათებელია ძალთა ბალანსის ძიება და მიტმასნება. დაბალანსების სტრატეგიის მიზანია ქვეყნებმა გაზარდონ თავიანთი სამხედრო შესაძლებლობები და თავიდან აირიდონ ან დაუპირისპირდნენ საფრთხეებს. მიტმასნება კი გულისხმობს, რომ სუსტი სახელმწიფო ცდილობს შეეკედლოს ძლიერ სახელმწიფოს, რათა დაიცვას თავისი სუვერენიტეტი, უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა და თავიდან აირიდოს ან გაუმკლავდეს სხვა სახელმწიფოს აგრესიას. აქედან გამომდინარე საერთაშორისო პოლიტიკაში სახელმწიფოს, როგორც რაციონალური აქტორის, მთვარი მიზანია, უსაფრთხოება და გადარჩენა და შესაბამისად, ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს, რომელთა ამოცანაა უსაფრთხოების გაძლიერება და გარე საფრთხეების შემცირება (აკობია, 2006).

აღნიშნული თეორიული ჩარჩო განსაკუთრებით რელევანტურია ბაჰრეინისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების მიერ აბრაამის შეთანხმებაში მონაწილეობის გადაწყვეტილების ასახსნელად. ორივე სახელმწიფო მდებარეობს ძალზედ

არასტაბილურ რეგიონში, სადაც ირანი, როგორც სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი და იდეოლოგიურად დაპირისპირებული აქტორი, აღიქმება პირდაპირ საფრთხედ მათი ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

სტრუქტურული რეალიზმის პარადიგმის მიხედვით, ისრაელთან — სამხედრო თვალსაზრისით წამყვან რეგიონულ ძალასთან — ურთიერთობების ნორმალიზება შეიძლება განიმარტოს როგორც სტრატეგიული თანამშრომლობა, რომლის მიზანია ირანული საფრთხის დაბალანსება. ამასთან, აშშ-ის ჩართულობა, როგორც გლობალური ჰეგემონისა და რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ძალის, კიდევ უფრო ამყარებს სტრუქტურული რეალიზმის მოსაზრებას, რომ სახელმწიფოთა ქცევა ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში ხშირად მოიცავს ძლიერი მოკავშირეების ძიებას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ამრიგად, აღნიშნული თეორიული ჩარჩო წარმოადგენს ეფექტურ ანალიტიკურ ინსტრუმენტს, რათა ავხსნათ, როგორ გადალახეს ბაჰრეინმა და საამიროებმა პალესტინის საკითხისა და სხვა იდეოლოგიური ფაქტორების მიერ წარმოშობილი წინაღობები და როგორ მოქმედებენ გარე საფრთხეები და სისტემური ზეწოლა მათი საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

ტერმინთა განმარტება

ახლო აღმოსავლეთი-გამომდინარე იქიდან, რომ აღმოსავლეთში მყოფი ქვეყნები არიან საკვლევი თემის ობიექტები, ამიტომ აუცილებელია განიმარტოს თუ რომელ ქვეყნებს და გეოგრაფიულ არეალს მოიცავს აღნიშნული რეგიონი. იმის გასარკვევად, თუ რა ტერიტორიას მოიცავს შუა აღმოსავლეთი, ამისათვის ჯერ უნდა გავიგოთ რეგიონის მნიშვნელობა. რეგიონი არის ტერიტორია, რომელიც საერთო მახასიათებლებით გამოირჩევა. ასეთი ნიშნები შეიძლება იყოს ბუნებრივი, მაგალითად მდინარეებით, მთებით ან ზღვებით შემოსაზღვრული ადგილები ან მსგავსი კლიმატის მქონე ტერიტორიებით. ასევე რეგიონები შეიძლება განისაზღვროს ადამიანური ნიშნებით, რომელიც გულისხმობს საერთო ენას, რელიგიას ან

კულტურულ ტრადიციებს. ახლო აღმოსავლეთის შემთხვევაში კი, ეს ტერიტორია როგორც ბუნებრივი ასევე ადამიანური ფაქტორებითაც განისაზღვრება (Teach Mideast 2023).

ტერმინი შუა აღმოსავლეთი პირველად ევროპელებმა გამოიყენეს, ისინი აზიის აღმოსავლეთ ნაწილს შორეულ აღმოსავლეთად მოიხსენიებდნენ, შესაბამისად ახლო აღმოსავლეთი აღნიშნავს რეგიონს, რომელიც დასავლეთ აზიასა და ეგვიპტეს შორის მდებარეობს (Sawe, 2017). მისი საზღვრები ზუსტად არ არის განსაზღვრული, ამასთან დაკავშირებით ბევრი მოსაზრება არსებობს და სხვადასხვა რუკაზე განსხვავებული ქვეყნებია ჩასმული. თუმცა ყველანი თანხმდება, რომ შემდეგი ქვეყნები ნამდვილად მიეკუთვნება ახლო აღმოსავლეთს. ესენია: ირანი, ერაყი, ისრაელი, ბაჰრეინი, ეგვიპტე, იორდანია, ლიბანი, ქუვეითი, ომანი, პალესტინა, კატარი, სირია, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები და იემენი (Teach Mideast, 2023).

პალესტინის საკითხი - საინტერესოა ის ფაქტიც რომ ნაშრომში გამოყენებული მაქვს ტერმინი პალესტინის საკითხი, რომელიც საკვანძო საკითხია ახლო აღმოსავლეთის. ეს საკითხი გულისხმობს ისრაელისა და პალესტინის ურთიერთობებს, მათ კონფლიქტებს, რომლებიც ათწლეულებია მძვინვარებს ახლო აღმოსავლეთში. მისი ძირითადი არსია რომ ისრაელი რეგიონში მოითხოვს უსაფრთხოების გარანტიებს, რადგან მისი მეზობელი სახელმწიფოები მას მტრულად უყურებენ და განადგურებით ემუქრებიან. პალესტინელები საკუთარი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ცდილობენ. ის ტერიტორიები სადაც დღევანდელი პალესტინა და ისრაელი მდებარეობს დიდი ხნის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო, სადაც ქრისტიანები, მუსლიმები და ებრაელები შედარებით მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპიდან ძალიან ბევრი ებრაელი გადავიდა ამ მიწაზე საცხოვრებლად, რომელსაც ისინი ამ მიწას თავიანთ ისტორიულ სამშობლოდ მოიხსენიებდნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ემიგრაცია კიდევ უფრო გაიზარდა. ამ დროს სიონიზმი ძალიან ძლიერდებოდა ევროპაში, რომელიც ებრაული

სახელმწიფოს შექმნას ქადაგებდა. ხოლო ადგილობრივ არაბებში იქმნებოდა პალესტინური იდენტობა. მრავალი წლის განმავლობაში იყო მცდელობა რომ დაემყარებინათ მშვიდობა, ებრაელებსა და პალესტინელებს შორის, თუმცა მათ შორის მშვიდობიანი შეთანხმება ვერ შედგა და დაპირისპირებები დღესაც გრძელდება. მათი ძირითადი მოუგვარებელი საკითხებია: ორი სახელმწიფოს იდეა, რომელიც გულისხმობს პალესტინის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ შექმნას დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორზე, თუმცა ჰამასი უარს ამბობს ამ გეგმაზე და მიზნად ისახავს ისრაელის სრულად განადგურებას. ასევე ებრაული დასახლებები პრობლემური საკითხია, 1967 წელს, 6 დღიანი ომის შემდეგ ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაშენებულ დასახლებებს ბევრი ქვეყანა მიიჩნევს, რომ უკანონოა და ეს საკამათოა საერთაშორისო დონეზეც. რაც შეეხება იერუსალიმს, ის წმინდა ქალაქადა მიჩნეული როგორც ებრაელებისთვის, ასევე ქრისტიანებისთვის და მუსლიმებისთვის. პალესტინელებს სურთ, რომ ეს ქალაქი მათი დედაქალაქი გახდეს, მაგრამ ისრაელი აცხადებს, რომ იერუსალიმი მათ განუყოფელ და მარადიულ დედაქალაქად უნდა დარჩეს. ისრაელის პრეტენზია აღმოსავლეთ იერუსალიმზე არ არის საერთაშორისოდ აღიარებული, თუმცა 2018 წელს დონალდ ტრამპა ეს ქალაქი ისრაელის დედაქალაქად გამოაცხადა. ლტოლვილების საკითხიც მნიშვნელოვანია მოლაპარაკებებში. მსოფლიოში დაახლოებით 6-ს მილიონამდე პალესტინელი ლტოლვილია, რომელთაგან უმეტესობას მოქალაქეობა არ გააჩნია. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტების დროს მათი წინაპრები იძულებით გადაადგილდნენ, შესაბამისად ეს ადამიანები ითხოვენ საკუთარ სახლებში დაბრუნებას, რაზეც ისრაელი უარს აცხადებს, იმიტომ რომ მათი დაბრუნება საფრთხედ მიაჩნია. ამიტომ პალესტინის საკითხი დღემდე რჩება რთულ და აღმოუფხვრელ პრობლემად რომელიც მოიცავს ეროვნული იდენტობისკენ სწრაფვას, წარსულის ტრამვებს, უსაფრთხოების შიშებს და საერთაშორისო სამართლის დაუდგენელ სტატუსებს (რადიო თავისუფლება, 2023).

სპარსეთის ყურე - ასევე სპარსეთის ყურის განხილვა მიზანშეწოლილად მიმაჩნია, რადგან მნიშვნელოვან ტერიტორიას წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში. ისმდებარეობს ირანსა და საუდის არაბეთს შორის და მსოფლიოში ყველაზე დიდი ნავთობმომპოვებელი რეგიონია. ამ ტერიტორიაზე მყოფი სახელმწიფოებია; საუდის არაბეთი, ირანი, ერაყი, ქუვეითი, კატარი, არაბთა გაერთიანებული საამიროები და იემენი, რომლებიც ფლობენ უზარმაზარი რაოდენობით ნავთობის მარაგს და საერთაშორისო პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ამ ყურის უკეთესად გასაგებად მოკლედ, რომ გავიაზროთ ისტორიული კონტექსტი, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ არაბული სახელმწიფოები ძალიან სუსტ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოკიდებულნი იყვნენ. ადგილობრივი ლიდერები ავტონომიას ბრიტანეთის მხარდაჭერით ინარჩუნებდნენ. ეს ყველაფერი შეცვალა ირანში 1911 წელს ნავთობის აღმოჩენამ, რასაც მოჰყვა მოგვიანებით საბადოების აღმოჩენა ბაჰრეინსა და საუდის არაბეთში, რამაც განაპირობა სწრაფი ეკონომიკური განვითარება. რეგიონის ენერგორესურსებზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება განსაკუთრებით აზიის სწრაფად მზარდი მოსახლეობის ფონზე. დღესდღეობით, მსოფლიოს მარაგის დაახლოებით 66% დაახლოებით სპარსეთის ყურეში მოიპოვება. ნავთობი და გაზი კვლავ რჩება როგორც განვითარებადი, ისევე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური და სტაბილურობის საფუძვლად. განსაკუთრებით გამოირჩევა საუდის არაბეთი, რომლის რესურსიც აკმაყოფილებს ევროპაში არსებული მოთხოვნების დაახლოებით 12 %-ს და ამერიკის შეერთებული შტატების 15%-ს. ამიტომ ამ რესურსებით მდიდარი სპარსეთის ყურე ერთ-ერთი ღირებული და მნიშვნელოვანი ტერიტორიაა მსოფლიოში (ახალაძე, ხიზანაშვილი 2015).

ლიტერატურის მიმოხილვა

2020 წლის აბრაჰამის შეთანხმებას, ერთი მხრივ, ისრაელს, ხოლო მეორე მხრივ, საამიროებსა და ბაჰრეინს შორის, საკმაოდ აქტიური აკადემიური გამოხმაურება

მოჰყვა, რაც ბუნებრივია რეგიონის უსაფრთხოებისთვის თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე. შესწავლილი წყაროების უმეტესობა შეთანხმებას წარმოაჩენს არა მხოლოდ როგორც დიპლომატიურ გარღვევას, არამედ პასუხს რეგიონში მზარდ საფრთხეებზე, მათ შორის ირანის მზარდ გავლენასა და შესაძლებლობებზე. ამ თავში ვეცდებით განვიხილო ის ლიტერატურა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უკეთესად გავიაზროთ საამიროებისა და ბაჰრეინის გადაწყვეტილების მიზეზები, მათ შორის სტრუქტურული რეალიზმის გადმოსახედიდან.

როგორც აღვნიშნეთ, წყაროების საკმაოდ დიდ ნაწილში ირანისგან მომდინარე საფრთხე გაანალიზებულია, როგორც ერთ-ერთი მთავარი კატალიზატორი ისტორიულად დაპირისპირებულ აქტორებს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციისთვის. მაგალითად, ბეჰრევეში და აზიზი მიიჩნევენ, რომ ირანისთვის აღნიშნული შეთანხმება „კოშმარის“ ტოლფასია, რადგან ის აძლიერებს ამერიკის რეგიონულ ბლოკს, რომელიც საფრთხეს წარმოდგენს თეირანისთვის (Behravesh & Azizi, 2020). ავტორები ამტკიცებენ, რომ ირანის ბირთვულმა პროგრამამ, ჰეზბოლას მსგავსი არასახელმწიფო აქტორების დაფინანსებამ და სპარსეთის ყურის მონარქიებთან იდეოლოგიურმა წინააღმდეგობამ უბიძგა პატარა არაბულ სახელმწიფოებს სტრატეგიული ბალანსისთვის ახალი გზები ეძიათ.

აღნიშნულ მოსაზრებას ახმოვანებს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ვაშინგტონის ინსტიტუტი, რომელიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საამიროები და ბაჰრეინი აბრაჰამის შეთანხმების გაფორმებამდეც ნახევრად ფორმალურად თანამშრომლობდნენ ირანთან, მაგალითად, სადაზვერვო ინფორმაციის მიმოცვლით, რაც განპირობებული იყო ირანის მზარდი საცეცების შეზღუდვის მოტივით (Ross, 2022). ურთიერთობების ფორმალიზებით კი, ორივე ქვეყანა შეეცადა ამერიკის ღია მხარდაჭერის მოპოვებას.

ეროვნული უსაფრთხოების შემსწავლელი ინსტიტუტის (INSS) მკვლევრები, გუზანსკის და მაიკლი (2020) მიიჩნევენ, რომ ბაჰრეინის და საამიროების

გადაწყვეტილება იდეოლოგიური მიზნებით არ ყოფილა ნაკარნახევი და მისი მთავარი საფუძველი ირანის შეკავების შესაძლებლობების გაძლიერებაა. ამას ხელი შეუწყო ირანის საზღვაო სავაჭრო მარშრუტებში აქტიურმა წარმომადგენლობამ და შესაძლებლობამ დესტაბილიზაცია შეეტანა ყურის სახელმწიფოებში. აღნიშნული აძლიერებს სტრუქტურული რეალიზმის ლოგიკას, რომლის მიხედვითაც, სუსტი სახელმწიფოები ისწრაფვიან კოალიციებისკენ, რომელსაც საფრთხის დაბალანსება შეუძლია.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ხაზგასმულია ლიტერატურაში, არის აშშ-ის როლი აბრაამის შეთანხმების მიღწევაში. საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის (FPRI) მიხედვით. ამერიკის დიპლომატიური აქტიურობა იყო გადამწყვეტი ურთიერთოების ფორმალიზაციისთვის (Stephen & Stein, 2020). ერთი მხრივ, ტრამპის ადმინისტრაციამ ხელშესახები კონტრიბუცია შეიტანა (სამხედრო დახმარება არაბული სახელმწიფოებისთვის), მეორე მხრივ, საკუთარი თავის ინვესტირება მოახდინა, როგორც უსაფრთხოების აქტორის.

ელკანოს ინსტიტუტის ანგარიშში (The Abraham Accords two years on, 2022), შედარებით განსხვავებული მოსაზრებაა წამოჭრილი. კერძოდ, წყაროს მიხედვით, აბრაჰამის შეთანხმება ჯდება საერთო ტენდენციაში, რომლის მიხედვითად, აშშ ცდილობს შეამციროს მისი ჩართულობა და ხელი შეუწყოს ავტონომიური რეგიონული კოალიციების შექმნას, რომელიც მის ინტერესებს არ შეუქმნის საფრთხეს. ამრიგად, ბაჰრეინის და საამიროების გადაწყვეტილებაში გათვალისწინებულია, როგორც ირანისგან მომავალი საფრთხე, ასევე, სამომავლოდ, ამერიკის რეგიონში ჩართულობის შემცირებაც, რაც უფრო დაუცველს გახდიდა ამ ქვეყნებს.

ახლო აღმოსავლეთის კვლევისა და ინფორმაციის პროექტის მკვლევარი ფაქრო (2021) განიხილავს, თუ როგორ დაასაბუთეს შიდა აუდიტორიისთვის აბრაჰამის შეთანხმების ხელმოწერა. კერძოდ, ირანისგან მომავალი საფრთხე წარმოჩინდა

პალესტინაზე არსებულ შეთანხმებაზე კომპრომისის საფუძვლად. ამასთან, ხაზი გაესვა ეკონომიკური მოდერნიზაციისა და მშვიდობის მშენებლობის თემის მნიშვნელობასაც. ახლო აღმოსავლეთის საკითხების კიდევ ერთი მკვლევარი, თარიქ დანა (2023) ამტკიცებს, რომ ურთიერთობების ნორმალიზაცია ნიშნავს არა პალესტინის საკითხის იგნორირებას, არამედ რეგიონში პრიორიტეტების რეორგანიზაციას, რისი მიზეზიც არსებული უსაფრთხოების დინამიკაა.

ელ-მასრი ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტიდან (2021) ხაზს უსვამს აბრაჰამის შეთანხმების უფრო კონკრეტულ მიმართულებას, კერძოდ, თანამშრომლობას კიბერუსაფრთხოების სფეროში ირანისგან მომავალი საერთო ციფრული საფრთხეებისგან თავის დასაცავად. საამიროებმა და ისრაელმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ინვესტიცია მოახდინეს კიბერ შესაძლებლობების გასავითარებლად, რაც ასევე ადასტურების ირანის მზარდ პოტენციალს ამ სფეროში. აღნიშნული ნიშნავს, რომ საფრთხის აღქმამ ტრადიციული სამხედრო სივრციდან ტექნოლოგიურ სივრცეშიც გადაინაცვლა, რაც ამ შეთანხმების ხელშემწყობი ფაქტორი იყო.

ახლო აღმოსავლეთის მკვლევარი საირა ჩიმა და პროფესორი ქიშვარ მუნირი, მიიჩნევენ, რომ აბრაამის შეთანხმების მთავარი მიზანია, მონაწილე ქვეყნებში ეკონომიკური განვითარება და უსაფრთხოების ხელშეწყობა, დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავება. დოკუმენტი გულისხმობს კოოპერაციის გაძლიერებას ისეთ სექტორებში, როგორებიცაა ვაჭრობა, ტრანსპორტი, ტურიზმი, ენერგეტიკა, კომუნიკაციები და ტექნოლოგიური ინოვაციები. ამავდროულად კოვიდ 19-ის პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა მსოფლიოს ეკონომიკებს, მათ შორის ძლიერ სახელმწიფოებსაც. ასეთ კრიზისულ ვითარებაში, ებრაულ და არაბულ სამყაროს შორის ურთერთობების ნორმალიზაცია აბრაამის შეთანხმების გზით მნიშვნელოვანი და დროული ნაბიჯი იყო. (Munir & Cheema,)

შეჯამების სახით, შეიძლება ვთქვათ, რომ განხილული ლიტერატურა ადასტურებს სტრუქტურული რეალიზმის ლოგიკას არაბეთის გაერთიანებული საამიროებისა და

ბაჰრეინის ქმედებების გასაანალიზებლად. აბრაამის შეთანხმება არ უნდა მივიჩნიოთ, როგორც ღირებულებებზე დაფუძნებული დიპლომატიის შედეგი ან იდეოლოგიური შერიგება, არამედ როგორც სტრატეგიული ნაბიჯი, რომლის მიზანია რეგიონული საფრთხეების შემსუბუქება ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში. ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზების გადაწყვეტილება — მიუხედავად შიდა და რეგიონული სენსიტიურობისა — ასახავს ირანის მზარდ გავლენაზე სტრატეგიულ პასუხს, რომელიც დამატებით განმტკიცებულია აშშ-ის მხარდაჭერითა და შეთანხმების შედეგად მიღებული ეკონომიკური სარგებლით.

ისტორიული წინაპირობა

არაბულ სამყაროსა და ისრელს შორის დაპირისპირება საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომელიც ჯერ კიდევ 1947 წელს იწყება, როდესაც გაერომ მხარი დაუჭირა ბრიტანეთის რეზოლუციას, რომ პალესტინა გაყოფილიყო ორ ნაწილად - ებრაულ და არაბულ სახელმწიფოდ. არაბული სახელმწიფოები ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ, რასაც მოჰყვა პირველი შეირაღებული კონფლიქტი. შემდგომმა კონფლიქტებმა, მათ შორის 1967 წლის 6 დღიანმა ომმა და 1973 წლის იომ ქიფურის ომმა კიდევ უფრო გაამწვავა აღნიშნული დაპირისპირება (Gaza War, 2024).

თავის მხრივ არაბულმა სახელმწიფოებმა 60-იან წლებში მოახდინეს საკუთარი მიდგომის უფრო ცხადად არტიკულირება. 1964 წელს არაბული ქვეყნების ლიგამ აღიარა პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაცია (PLO) და შემდეგ უკვე 1967 წელს მიიღო ხართუმის რეზოლუცია, რომელიც ცნობილია სამი არას კონცეფციით, რაც გულისხმობს "არა მშვიდობას, არა აღიარებას და არა მოლაპარაკებებს ისრაელთან (Khartoum Resolution, 1967). ბაჰრეინი და არაბეთის გაერთიანებული საამიროები არაბული ქვეყნების ლიგას 1971 წელს შეუერთდნენ და ამით გაიზიარეს მისი მიდგომა და დამოკიდებულება ისრაელის მიმართ.

თუმცა, 1979 წელს ირანში ხდება ისლამური რევოლუცია, რომელმაც ფუნდამენტური ცვლილებები შეიტანა რეგიონის განვითარების დინამიკაში. თუ მანამდე ირანი

მოკავშირედ აღიქმებოდა სპარსეთის ყურის სახელმწიფოებისთვის, რასაც ხელს უწყობდა ამერიკის პოლიტიკაც, 1979 წლიდან ის იქცევა იდეოლოგიურ მეტოქედ, რომელიც მიზნად ისახავს რევოლუციის ექსპორტს სხვა ქვეყნებში (A Time for Talks, 2021) აღნიშნული თავდაპირველ ბზარს აჩენს ირანსა და არაბულ სახელწიფოებს შორის, რაც ღრმავდება 1980-88 წლების ირან-ერაყის ომის პარალელურად, როდესაც ყურის სახელმწიფოების საუდის არაბეთის მეთაურობით ერაყის მხარეს დადგნენ.

80-იანი წლებიდან მოყოლებული, კიდევ ერთი ცენტრალური საკითხი, რომელმაც უსაფრთხოების ლანდშაფტი შეცვალა რეგიონში, იყო ირანის მიერ ტრანსნაციონალური ქსელის განვითარება, რომელიც ცნობილია როგორც „წინააღმდეგობის ღერძი". აღნიშნული მოიცავს ჰეზბოლას ლიბანში, შიიტურ შეიარაღებულ დაჯგუფებებს ერაყში, ჰუსიტებს იემენში და სხვა მსგავს ჯგუფებს სირიასა და პალესტინაში. ეს აქტორები, რომლებიც მხარდაჭერილია და ფინანსდება ირანის მხრიდან, წარმოადგენს მის ინსტრუმენტს რეგიონში საკუთარი ინტერესების გატარებისა და გავლენის გაზრდისთვის (Steinberg, 2021).

ამ სტრატეგიამ ფუნდამენტურად შეცვალა უსაფრთხოების გარემო რეგიონში, მათ შორის ყურის სახელმწიფოებისთვის. როგორც არაბეთის გაერთიანებული საამიროები, ისე ბაჰრეინის წინააღმდეგობის ღერძს განიხილავენ ეგზისტენციურ გამოწვევად მათი გავლენის და სამხედრო შესაძლებლობების გამო.

ირანსა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს შორის უნდობლობის მნიშვნელოვანი წყაროა 1971 წლის ნოემბერში ირანის მიერ საამიროების რამდენიმე კუნძულის ხელში ჩაგდება და მათზე კონტროლის. მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის კოლონიური ძალები სპარსეთის ყურედან გამოვიდნენ, ირანმა სწრაფად განათავსა საზღვაო ძალები ჰორუზის სრუტეში და მალევე მოახდინა სამივე კუნძულის ოკუპაცია, რაც დღემდე გრძელდება. ეს კუნძულები მცირე ზომისაა, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვთ საზღვაო მარშრუტების, ნავთობის გლობალური გადაზიდვისა და სამხედრო თვალსაზრისით. საერთაშორისო სამართლებრივი მიმართვის

მიუხედავად, ირანი მუდმივად უარს ამბობდა არბიტრაჟზე, რაც აძლიერებს ყურის მოსაზრებებს, რომ თეირანი მზად არის დაარღვიოს მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა თავისი რეგიონალური ჰეგემონიის დასამტკიცებლად (Al-Mazrouei, 2015).

1981 წელს, ბაჰრეინის უმრავლესობაში მყოფმა შიიტურმა მოსახლეობამ, რომელიც შთაგონებული იყო ირანის ისლამური რევოლუციით, მოაწყო აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობდა თეირანის მიერ მხარდაჭერილი ისლამური ფრონტი ბაჰრეინის განთავისუფლებისთვის, აჯანყების მიზანი იყო მმართველი სუნიტური მონარქიის დამხობა. მიუხედავად იმისა, რომ აჯანხების ჩახშობა მოხერხდა და ის მიჩნეულ იქნა ირანის მცდელობად მოეხდინა რევოლუციის ექსპორტი და დესტაბილიზაცია შეეტანა ყურის მონარქიებში. ყოველივე ამან კი აიძულა სპარსეთის ყურის რეჟიმები გაეძლიერებინათ უსაფრთხოების შიდა ზომები ირანის წინააღმდეგ, რადგან ბაჰრეინისთვის და მისი მეზობლებისთვის ცხადი გახდა, რომ სექტარიანული ფაქტორი შეიძლება გამოყენებული იქნეს ირანის მიერ (Knights & Levitt, 2018).

ირანის მზარდი საფრთხეების საპასუხოდ, ბაჰრეინმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა, საუდის არაბეთმა, ქუვეითმა, ომანმა და ყატარმა 1981 წლის 25 მაისს დააარსეს ყურის თანამშრომლობის საბჭო (GCC), რომელიც 1984 წელს გადაიზარდა ნახევარკუნძულის დაცვის ძალების (PSF) ფორმირებაში - 10000 კაციანი ერთობლივი სამხედრო შენაერთით, რომელიც შექმნილია შეკავებისა და ინტერვენციისთვის. PSF-ის ოპერატიული მოქმედება განხორციელდა 2011 წელს ბაჰრეინის არეულობის დროს, როდესაც ის გამოყენებული იქნა საუდის არაბეთისა და ემირატების ძალებთან ერთად მონარქიის რეჟიმის სტაბილიზაციისთვის. ამრიგად, GCC და PSF ასახავს თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციას და კოლექტიური თავდაცვის მექანიზმების, რომელიც დიდწილად ირანული საფრთხით არის განპირობებული (Pasha, 2012).

ირანი და მისი ამბიციები ახლო აღმოსავლეთში

ირანი ბევრი რეგიონული სახელმწიფოს და აქტორის მიერ ბოლო რამდენიმე ათწლეულია მიჩნეულია რევიზიონისტულ ძალად, რომელიც წარმოადგენს პოტენციური არასტაბილურობის წყაროს და ესწრაფვის ძალთა ბალანსის შეცვლას რეგიონში. აღნიშნულ აღქმას აძლიერებს ირანის სამხედრო ამბიციები, მისი ქმედებები პროქსი ქსელების დახმარებით, რიტორიკა და ასევე, ბირთვული ამბიციები, რაც სხვა სახელმწიფოებს უჩენს მისი შეკავებისა თუ დაბალანსების აუცილებლობის განცდას.

1979 წლის რევოლუციიდან მოყოლებული, ისრაელი აქტიურად ცდილობს ეგრედ წოდებული „წინააღმდეგობის ღერძის“ შექმნას, რომელიც წარმოადგენს პროქსი ძალებს ლიბანში, ერაყში, სირიასა თუ იემენში და რომელთა მიზანია ირანული გავლენის გავრცელება. ოფიციალური თეირანი ამ ჯგუფებს ეხმარება ფინანსურად, უზრუნველყობს იარაღითა და სამხედრო წვრთნებით და აპირისპირებს რეგიონულ ძალებთან, პირველ რიგში ისრაელთან და ასევე, ყურის სახელმწიფოებთან. მთავარი აქტორი, ამ შემთხვევაში, არის ირანის რევოლუციურ გუშაგთა კორპუსი (IRCG), რომელსაც გააჩნია სპეციალური დანაყოფები იარაღის კონტრაბანდის, ლოგისტიკის, წვრთნისა თუ სხვადასხვა ფარული სამხედრო ოპერაციების განხორციელებისთვის. მაგალითად, პალესტინაში ჰამასის დაჯგუფების წლიური დახმარება რამდენიმე ასეულ მილიონს შეადგენდა მიმდინარე კონფლიქტის დაწყებამდე.

პროქსი ძალები ირანს საშუალებას აძლევს თავიდან აირიდოს პირდაპირი სამხედრო კონფლიქტი მეტოქე სახელწიფოებთან, თუმცა ამავდროულად გამოიყენოს ისინი საკუთარი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ჰუსიტების მიერ საუდელების და საამიროების ინფრასტრუქტურაზე შეტევა, ჰეზბოლას სამხედრო-პოლიტიკური წინააღმდეგობა ისრაელთან, შიიტი სამხედრო ჯგუფების გავლენა ერაყის პოლიტიკურ სისტემაზე აძლიერებს ირანის როგორც აგრესიული რეგიონული ჰეგემონის აღქმას.

აღნიშნულ აღქმას დამატებით ხელს უწყობს ირანის ნაბიჯების შეიარაღების კუთხით. თეირანის ბალისტიკური სარაკეტო პროგრამა, რომელიც აერთიანებს ახლო და საშუალო დისტანციის 3000 რაკეტას, პირდაპირ საფრთხეს ქმნის რეგიონული სახელმწიფოებისთვის, მათ შორის ბაჰრეინისა და ემირატებისთვის (Cordesman, 2022). ირანი სარაკეტო ტექნოლოგიებს უზიარებს არასახელმწიფო (პროქსი) აქტორებს რეგიონში. მაგალითად, ჰუსიტების მიერ საამიროებზე განხორციელებული თავდასხმა სწრორედ ირანული წარმოშობის რაკეტით განხორციელდა.

თუმცა ამ კუთხით, საკვანძო საკითხია ირანის ბირთვული პროგრამა. მიუხედავად ოფიციალური თეირანის მიერ ბრალდებების უარყოფისა, ურანის გამდიდრებასთან დაკავშირებული აქტივობები საერთაშორისო შეშფოთების საკითხია. საფრთხის აღქმა უფრო მეტად გაძლიერებულია რეგიონში. ექსპერტების შეფასების მიუხედავად, რომ ირანს გამდიდრების კრიტიკული ზღვარი არ გადაულახავს, მისი განზრახვა მაინც ქმნის რეგიონში სტრატეგიული ბალანსის ცვლილების საფრთხეს.

აღნიშნული საფრთხე გაძლიერდა 2018 წელს, როდესაც ირანი გამოვიდა ობამას ადმინისტრაციის დროს მიღწეული ბირთვული შეთანხმებიდან და ახალი ენერგიით დაიწყო საკუთარი ბირთული შესაძლებლობების გაძლიერება. მეცნიერებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ინსტიტუტის (ISIS, 2025) მიხედვით, 2025 წლისათვის ირანმა მიაღწია 60%-მდე გამდიდრებულ ურანს და აქვს საკმარისი მარაგი 17 ბირთვული იარაღის დასამზადებლად. ისრაელისა და ამერიკის მიერ 2025 წლის ივნისში ირანულ ბირთვულ ობიექტებზე მიტანილი იერიში ამ საფრთხის სერიოზულობის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლისთვის, ირანის ბირთვული შესაძლებლობები არ იყო დღევანდელ ნიშნულამდე, უკვე ნათლად იკვეთებოდა ტენდენციები, რაც საფრთხის აღქმას აძლიერებდა რეგიონში.

ამ კონტექსტში ყურის სახელმწიფოების მიერ აბრაჰამის შეთანხმებაზე ხელის მოწერა შესაძლოა წარმოადგენდეს ირანული საფრთხის ბალანსირებისკენ გადადგმულ

ნაბიჯს. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეთანმხება ბოლომდე არ იცავს ყურის სახელმწიფოებს, ის ცხადია, ზრდის ირანის დანახარჯს იმ შემთხვევაში თუ ის პირდაპირ დაპირისპირებაში შევა ყურის ქვეყნებთან ან რაიმე დივერსიულ აქტებს ჩაიდენს მათ მიმართ.

არაბეთის გაერთიანებული საამიროები - მაგალითის შესწავლა

არაბეთის გაერთიანებული საამიროების გადაწყვეტილება მოეხდინა ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზება აბრაჰამის შეთანხმების მეშვეობით მართლაც წარმოადგენდა გარდამტეხ მომენტს ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიაში. დიდი ხნის განმავლობაში საამიროები აღიქმებოდა როგორც ჩუმი მოთამაშე, თუმცა ამ შეთანხმებით ის გადაიქცა პროაქტიულ აქტორად, რომელმაც გადაწყვიტა საკუთარი უსაფრთხოების გამოწვევებისთვის ღიად ეპასუხა და მოეხდინა პრიორიტეტების რესტრუქტურირება. ნორმალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი არ შეიძლება მხოლოდ დანახული იქნას ეკონომიკური ან იდეოლოგიური გადმოსახედიდან. ჩვენი აზრით, მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი ემირატების მმართველებისთვის საგარეო საფრთხის დაბალანსება გახლდათ.

ირანსა და არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს შორის დაძაბულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც ათწლეულებს ითვლის, არის ტერიტორიული დავა აბუ-მუსას და დიდი და პატარა ტუნბის კუნძულების ირგვლივ. 1971 წელს, სპარსეთის ყურიდან ბრიტანული ძალების გასვლისთანავე, ირანულმა ძალებმა დაიკავეს კუნძულები, რომელსაც მანამდე ემირატები განაგებდა. მიუხედავად თავდაპირველი შეთანხმებისა საერთო მმართველობაზე, ირანმა სწრაფად დაამყარა კონტროლი სამივე კუნძულზე და ამ დროიდან მოყოლებული უარს ამბობს მორიგებაზე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გზით (Nahyan, 2013). კუნძულები განთავსებულია სტრატეგიულად ჰორმუზის სრუტესთან, რისი გავლითაც ხდება მსოფლიო ნავთობის 20%-ის ტრანსპორტირება. მათ ასევე სიმბოლური დანიშნულება აქვთ საამიროების ეროვნული იდენტობისთვის. ადგილობრივი პოლიტიკოსები,

ოკუპაციას აღიქვამენ ქვეყნის სუვერენიტეტის უხეშ დარღვევად და ირანის რეგიონული ძალისა და ამბიციების დემონსტრირებად (Sharp, 2024). ის არის ასევე სახელმწიფოებს შორის უნდობლობისა და რთული დიპლომატიური ურთიერთობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

თუმცა, უფრო სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ირანის მიერ მარიონეტულ (proxy) ძალებზე დაყრდნობით რეგიონში თავისი გავლენის გავრცელების მცდელობები. აღნიშნული საამიროების შემთხვევაში ძირითადად გამოვლინდა იემენში წარმოქმნილი კონფლიქტის კონტექსტში. 2015 წელს, საამიროები შეუერთდა საუდის არაბეთის კოალიციას ჰუსიტი მეამბოხეების წინააღმდეგ, რის გამოც საკუთარ ტერიტორიაზა იწვნია არაერთი სარაკეტო და დრონებით შეტევა, ირანის მიერ მომარაგებული შეიარაღებით, რომლის სამიზნე აბუ-დაბის და დუბაის კრიტიკული ინფრასტრუქტურა იყო. მაგალითად, 2022 წლის დრონებით შეტევა აბუ-დაბის აეროპორტზე აჩვენებს, თუ რამდენად მოწყვლადია საამიროები ირანული საფრთხის წინაშე (Yadlin, 2022). აღნიშნული ინციდენტი აღიქმება არა განცალკევებულ შემთხვევებად, არამედ როგორც ირანის სტრატეგიად რეგიონში გავლენის გასავრცელებლად.

ამის საპასუხოდ, გაერთიანებული საამიროების საგარეო პოლიტიკა გადავიდა აქტიური დაბალანსების სტრატეგიაზე, რომელიც გამოიხატა 2020 წლის სექტემბერში აბრაამის შეთანხმების ხელმოწერით. ამით, საამიროებმა შეიძინა სანდო პარტნიორი ისრაელის სახით, რომლისთვისაც ირანი ეგზისტენციურ საფრთხეს წარმოადგენს და რომელსაც გააჩნია მოწინავე ტექნიკური და სადაზვერვო შესაძლებლობები. ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, ეს გადაწყვეტილება ნიშნავდა არა პალესტინის საკითხის იგნორირებას, არამედ სტრატეგიულ გადაადგილებას, რომელიც ირეკლავდა რეგიონის უსაფრთხოების დინამიკას. შეთანხმებამ საამიროებს მისცა წვდომა ისრაელის სარაკეტო თავდაცვით ტექნოლოგიებზე და კიბერუსაფრთხოებისა და სადაზვერვო პლატფორმებზე. ამასთან, შეთანხმებით

საამიროებს შესაძლებლობა მიეცა შეესყიდა ამერიკული F-35 საბრძლო თვითმფრინავები, რომელსაც მანამდე ბლოკავდა ისრაელი (Rumley, 2022).

უსაფრთხოებასთან ერთად, აბრაჰამის შეთანმხებით საამიროებმა მიიღო მნიშვნელოვანი ეკონომიკური და დიპლომატიური სარგებელი. შეთანხმების შემდეგ სწრაფად გაიზარდა ვაჭრობა ორ ქვეყანას შორის და 2022 წლისთვის მიაღწია 2 მილიარდ დოლარს და მოლოდინი არსებობს, რომ უახლოეს წლებში გადააჭარბებს 10 მილიარდს. შეთანხმება ასევე აძლიერებს თანამშრომლობას ხელოვნური ინტელექტის, სუფთა ენერგიის, აგრო-ტექნოლოგიის და სხვა სფეროებში, რაც ემთხვევა საამიროების „პოსტ-ნავთობის“ განვითარების ხედვას (Vakil & Quilliam, 2023).

საამიროების საჯარო რიტორიკა შეთანხმების შესახებ საკმაოდ ფრთხილი იყო. პრინცმა მოჰამედ ბინ ზაედმა შეთანხმება წარმოაჩინა როგორც სუვერენული გადაწყვეტილება, რომლის მიზანი იყო ისრაელის მიერ პალესტინის ტერიტორიების ანექსიის შეჩერება. საგარეო საქმეთა მინისტრმა, ანვარ გარგაშმა, საჯარო ინტერვიუებში განაცხადა, რომ შეთანხმება არ იყო არც ერთი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული, რაც პასუხი იყო ირანის კრიტიკაზე (A conversation with H.E. Anwar Gargash, 2020). თუმცა ქვეყნის შიგნით ოპოზიციისა და სამოქალაქო კონტროლის არარსებობის ფონზე შეთანხმება დიდ წინააღმდეგობას არ შეხვედრია.

ბოლო ათწლეულებია, საამიროებმა ფარული კავშირები განავითარა ისრაელთან, რაც ასევე ნაკარნახევი იყო უსაფრთხოების პრინციპით. კერძოდ, 2000-იანი წლების დასაწყისიდან გაძლიერდა თანამშრომლობა დაზვერვისა და მეთვალყურეობის სფეროში. როგორც ვაკილი და ქვილიამი (2023) ამბობენ, აბრაჰამის შეთანხმება წარმოადგენდა არა გადახვევას წარსული პოლიტიკიდან, არამედ იმ თანამშრომლობის გააშკარავებას და გაძლიერებას, რაც მანამდეც არსებობდა.

საბოლოდ, საამიროების მიერ აბრაჰამის შეთანხმებამ გაზარდა ამ ქვეყნის უსაფრთხოების ხარისხი. მთავარ საფრთხეს კი ემირატებისთვის რეგიონში ირანის

ავანტიურისტული პოლიტიკა წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნული თანამშრომლობა თავსებადია სტრუქტურული რეალიზმის ლოგიკასთან და გამოდის საფრთხის დაბალანსების აუცილებლობიდან. ეკონომიკური სარგებელი, კი რაც ემირატებმა ამ შეთანმხებით მიიღეს, ზრდის ამ ქვეყნის მასში მონაწილეობის მოტივაციას.

ბაჰრეინის მაგალითის შესწავლა

საამიროების მსგავად, ბაჰრეინის მიერ ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზაცია მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენდა მისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკისთვის. ერთ დროს ბაჰრეინი პრო-არაბული სოლიდარობის მოძრაობის აქტიური მონაწილე გახლდათ პალესტინის საკითხზე, თუმცა აბრაჰამის შეთანხმების ხელმოწერით ეს რეალობა ტანსფორმირდა. აღნიშნული გადაწყვეტილება არ ეფუძნება რასაკვირველია იდეოლოგიურ სიახლოვეს ისრაელთან, თუმცა ის გამოხატავს გარე საფრთხეების ბალანსირების მნიშვნელობას.

ბაჰრეინისთვის გადამწყვეტი ფაქტორია ოფიციალური თეირაინის გავლენა ან ქვეყნის შიდა საქმეებზე. მიუხედავად იმისა, რომ ბაჰრეინის მოსახლეობის უმრავლესობას შიიტი მუსლიმები შეადგენენ, მმართველი ალ ხალიფას ოჯახი სუნიტური მიმდევრობისაა. ჯარი, პოლიცია და საჯარო სექტორიც დისპროპორციულად დომინირებს სუნიტებით. სექტარული დისბალანსი არის პოლიტიკური დაძაბულობის მიზეზი და ბაჰრეინს აქცევს ირანული გავლენის სამიზნედ. ირანის მხარდაჭერით, 1981 წელს, ბაჰრეინის გამათავისუფლებელი ისლამური ფრონტის გადატრიალების მცდელობამ აჩვენა ბაჰრეინის რევოლუციისადმი მოწყვლადობა და გააძლიერა მმართველობის შიშები ირანის მიმართ (Alhasan, 2011). ბაჰრეინის მონარქია ირანს მიიჩნევს შიიტური ამბოხების დამფინანსებლად, განსაკუთრებით კი 2011 წლის არაბული გაზაფხულის შემდგომი პროტესტის კონტექსტში, როდესაც შიიტმა დემონსტრანტებმა მოითხოვეს გაზრდილი პოლიტიკური წარმომადგენლობა და დისკრიმინაციის დასრულება.

უფრო გვიან, 2015 წელს, ბაჰრეინმა ქვეყნიდან გააძევა ირანის ელჩის მოადგილე და განაცხადა, რომ გააუნებელყო ჰეზბოლასთან დაკავშირებული ბომბის წარმოების ქსელი, რომელიც დაკავშირებული იყო ირანის რევოლუციურ გვარდიასთან. დაახლოებით ამ დროს, სავარაუდოდ ირანის შეთქმულებამ იერიში მიეტანა მანამაში აშშ-ს საზღვაო ფლოტზე გააძლიერა ბაჰრეინის შიშები, რომ თეირანის მიერ საიდუმლო ოპერაციების ჩატარების მზაობაზე, რათა ძირი გამოეთხარა ბაჰრეინის მონარქიისთვის.

ამ კონტექსტში აბრაჰამის შეთანხმება ბაჰრეინისთვის წარმოადგენდა ერთგვარ უსაფრთხოების ქოლგას, რაც ერთი მხრივ გზას უხსნიდა ქვეყანას ისრაელის სადაზვერვო და კონტრტერორისტულ შესაძლებლობებისკენ, ხოლო მეორე მხრივ აძლიერებდა კავშირს აშშ-თან.

ბაჰრეინმა აბრაჰამის შეთანხმების გაფორმებამდე დაიწყო ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზაცია. ჯერ კიდევ 1994 წელს ქვეყანამ შეწყვიტა ოფიციალურ რიტორიკაში ისრაელის მოხსენიება როგორც „სიონისტური ერთეული“ და დაასრულა ეკონომიკური ბოიკოტი (Salman, 2024). მისი მონაწილეობა 2019 წლის ამერიკის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში „მშვიდობიდან კეთილდღეობამდე“ ასევე წარმოადგენდა სიგნალს თანამშრომლობის ღიაობისკენ (Cortellessa, 2019). 2020 წელს, ბაჰრეინმა ასევე მონაწილეობა მიიღო კეთილდღეობის მცველის ოპერაციაში (Operation Prosperity Guardian), რომელიც წარმოადგენდა აშშ-ს მიერ შექმნილ საზღვაო კოალიციას წითელ ზღვაში ჰუსიტების აქტივობების აღსაკვეთად და ირანის გავლენის შესაკავებლად (Ebrahim, 2023).

აბრაჰამის შეთანმხებამ ხელშესახები სარგებელი მოუტანა ბაჰრეინს. 2022 წელს, ბაჰრეინის და ისრაელის თავდაცვის მინისტრებმა ხელი მოაწერეს უსაფრთხოების თანამშრომლობის შეთანხმებას, რომლითაც შეთანხმდნენ სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლაზე, საერთო საზღვაო წვრთნებზე და ისრაელის მიერ ბაჰრეინის მეხუთე ფლოტის სათაო ოფისში სამხედრო ატაშის წარდგინებაზე (Hamilton, 2022).

აღნიშნული ნაბიჯები წარმოადგენდა, ბაჰრეინის პირველ ფორმალურ თანამშრომლობას ისრაელთან და მნიშვნელოვნად ზრდიდა მის შემაკავებელ შესაძლებლობას ირანის წინააღმდეგ.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სარგებელთან ერთად, ბაჰრეინმა მიიღო ეკონომიკური ბენეფიტებიც. საავიაციო შეთანხმებით დაწესდა პირდაპირი ფრენების თელავივთან და 2020-2022 წლებში ვაჭრობამ გადააჭარბა 12 მილიონ დოლარს. მიუხედავად მოკრძალებული ციფრისა, ის საფუძველს ქმნის სამომავლოდ თამანშრომლობის გაღრმავებისთვის. ვაჭრობის მოცულობამ ისრაელსა და ბაჰრეინს შორის 2024 წლის ივნისში, მნიშვნელოვნად იმატა და 16.8 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც 2023 წლის ივნისთან შედარებით 740%-ით მეტია (Ghuloom, 2025).

რაც შეეხება პალესტინის საკითხს, შეთანხმების საერთო განცხადებაში ქვეყნებმა აღნიშნეს, რომ ბაჰრეინი, ისრაელი და შეერთებული შტატები ერთობლივად გააგრძელებდნენ მუშაობას ისრაელ-პალესტინის კონფლიქტების მოგვარებისათვის, მიუხედავად ამისა, პალესტინური მხარე შეშფოთებას გამოთქვამდა ამ შეთანხმებების გამო, რადგან თვლიდა რომ მსგავსი ნაბიჟები ასუსტებდა პან-არაბულ კონსესუსს. მან კონსულტაციისთვის ბაჰრეინის ელჩიც კი უკან გაიწვია და ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნა, რომ ეწინააღმდეგება ნაბიჯებს ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზაციისკენ და მოუწოა ბაჰრეინს უკან დახევისკენ. ბაჰრეინმა თავის მხრივ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთში მისი მთავარი პრიორიტეტი მშვიდობის დამყარებაა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ორი სახელმწიფოზე დაფუძნებულ გადაწყვეტას. (Khurma, Farley, Sherman & Harb, 2020)

ქვეყნის შიგნით ურთიერთობების ნორმალიზაცია ბაჰრეინმა სრულად უსაფრთხოების პერსპექტივიდან გაამართლა. შინაგან საქმეთა მინისტრმა რაშიდ ბინ აბდულა ალ ხალიფამ შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიაზე აღნიშნა, რომ ის ხელს უწყობს „ბაჰრეინის უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ სტაბილურობას“ და დაამატა, რომ „ირანმა აირჩია დომინირების გზა...შექმნა მუდმივი საფრთშე ჩვენი საშინაო

უსაფრთხოებისთვის“ (Israel deal protects Bahrain, 2020). მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის ღაზას კონფლიქტის დროს მცირე დროით პროტესტმა იჩინა თავი ბაჰრეინში, რეჟიმმა შეძლო მისი ეფექტურად დაშოშმინება და წარმოაჩინა ის როგორც ირანის მიერ ინსპირირებული მოვლენა, რის გამოც გაზარდა ზედამხედველობის საშუალებები. ამ ნარატივმა შესაძლებლობა მისცა ბაჰრეინის, რომ აბრაჰამის შეთანხმება წარმოეჩინა როგორც დავდაცვითი საჭიროება და არა იდეოლოგიური ღალატი პალესტინის მიმართ.

აშშ-ს ინტერესები და აბრაამის შეთანხმების ეკონომიკური ასპექტები

აბრაჰამის შეთანხმება ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიაში უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომლის უკანაც ამერიკის შეერთებული შტატები იდგა. აქამდე არსებული ამერიკული ინიციატივებისგან განსხვავებით, რომელიც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაჭრაზე იყო ორიენტირებული, ტრამპის ადმინისტრაციის მიდგომა შედარებით გასხვავებულ ლოგიკას დაეფუძნა. კერძოდ, მან გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინა კოალიციების თავისი მოკავშირეების, კონკრეტულად კი ყურის სახელმწიფოებისა და ისრაელის მონაწილეობით, რათა ერთი მხრივ, დაებალანსებინა ირანი, ხოლო მეორე მხრივ, შეემცირებინა წნეხი რეგიონში ამერიკის სამხედრო ვალდებულებებზე.

ტრამპის და რეგიონში მისი წარმომადგენლის, ჯარედ კუშნერის ხედვა იყო უსაფრთხოების სფეროში სხვა სახელმწიფოების ჩართულობით ინვესტიციის გაზრდა, ეკონომიკური კავშირების გაძლიერება და რეგიონში ამერიკის როლის გაზრდა დამატებით სამხედრო დანახარჯისა თუ წარმომადგენლობის გარეშე. ამ მიდგომამ ძალა შეიძინა 2019 და 2020 წლებში, როდესაც საამიროები და ბაჰრეინი დათანხმდნენ ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზებაზე, რომელსაც შემდგომ დაემატა სუდანი და მაროკო.

ტრამპის პოლიტიკა ამავდროულად ტრანზაქციული იყო. პალესტინის საკითხზე დამატებითი დათმობის ნაცვლად, ტრამპმა ჩართულ სახელმწიფოებს შეთავაზა სამხედრო, დიპლომატიური და ეკონომიკური ინსენტივები ნორმალიზაციის სანაცვლოდ. ამერიკა ერთდროულად იყო შეთანხმების არქიტექტორი და გარანტორი, რასაც ხელი შეუწყო მისმა სამხედრო და სავაჭრო შესაძლებლობებმა (Sachs & Pita 2020).

საამიროების შემთხვევაში, ამ ტრაზაქციული დიპლომატიის კარგი მაგალითია ამერიკის პირობა მიეყიდა ქვეყნისთვის F-35 გამანადგურებლები და MQ-9 დრონები, რომელიც შესრულდა მხოლოდ და ხმოლოდ აბრაჰამის შეთანხმების საჯაროდ გაცხადების შემდეგ (Mehts, 2020). მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაწყვეტილებას დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან ისრაელში, ამერიკამ შეძლო ქვეყნის დარწმუნება იმაში, რომ ის არ დაკარგავდა რეგიონში სამხედრო უპირატესობას, მათ შორის ყურის სახელმწიფოებთან, მაში როდესაც აბუ-დაბის დაპირდა წვდომას თანამედროვე სამხედრო აპარატურაზე. ბაჰრეინის შემთხვევაში კი, მიუხედავად იმისა, რომ მან შედარებით ნაკლები მიიღო სამხედრო თვალსაზრისით, F-16-ის განახლება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დაპაუზებული იყო, აღმოჩნდა ძლიერი მამოტივირებელი ფაქტორი (Bahrain: Issues for U.S. Policy, 2025).

ტრამპის სტრატეგიას ხელი შეუწყო უფრო ფართო რეგიონულმა პროცესებმა, განსაკუთრებით კი „მაქსიმალური წნეხის“ პოლიტიკამ ირანზე. კერძოდ, აშშ-მ გააუქმა წინა ადმინისტრაციის მიერ დადებული ბირთვული შეთანხმება ირანთან და აღადგინა ეკონომიკური სანქციები. ამ ნაბიჯებმა გაზარდა შიში, რომ ირანი გააძლიერებდა დესტრუქციულ ქმედებებს რეგიონში. ბაჰრეინმა და საამიროებმა დაინახეს, რომ ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზაციით, ერთი მხრივ, ზრდიდნენ ირანის შემაკავებელ ძალას რეგიონში, ხოლო მეორე მხრივ, აღრმავებდნენ მათ სიახლოვეს ვაშინგტონთან. ტრამპმა შეძლო ამ სიტუაციის სწორედ გამოყენება

დიპლომატიაში და მისი პოტენციური დისტანცირებით წარმოქმნილი შიშის გაძლიერებით შეძლო სასურველი მიზნის მიღწევა (Markovsky & Kram, 2021).

დიპლომატიური თვალსაზრისით, ჯარედ კუშნერი გაუძღვა მაღალი დონის ინტენსიურ მოლაპარაკებებს, რომელიც ტრადიციული მშვიდობის პოლიტიკის პრაქტიკისგან და ნორმებისგან შედარებით დაშორებული იყო. საამიროებთან შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი გახდა იმ წინაპირობით, რომ ისრაელი შეწყვეტდა დასავლეთ სანაპიროს ანექსირებას, რაც ერთი მხრივ ემირატების ლიდერებს აძლევდა ქვეყნის შიგნით შეთანხმების „გაყიდვის“ შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, საშუალებას აძლევდა აშშ-ს საკუთარი თავი წარმოედგინა მშვიდობის აქტორად მაშინ, როდესაც პალესტინის საკითხმა მოლაპარაკებებში უკანა პლანზე გადაიწია. ბაჰრეინი, რომელიც შეგულიანებული იყო საუდის არაბეთის ჩუმი თანხმობითაც, ემირატების ჩართვიდან სულ მცირე ხანში შეუერთდა შეთანხმებას. ორივე შემთხვევაში, ამერიკამ წარმართა არა მხოლოდ დიპლომატიური პროცესი, არამედ ვიზუალური აღქმის პროცესიც უმასპინძლა რა ხელმოწერის ცერემონიებს თეთრ სახლში და წარადგინა შეთანხმება, როგორც ახალი ახლო აღმოსავლეთის დასაწყისი (The Abraham Accords Declaration, 2017-2021).

2021 წელს, ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ ძალაუფლების გადაბარების შემდეგ, შეკითხვები გაჩნდა იმასთან დაკავშირებით, უნდა გაგრძელებულიყო თუ არა აღნიშნული პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ტრამპის საგარეო პოლიტიკა ზოგადად ძლიერი კრიტიკის ობიექტი იყო ბაიდენის მხრიდან, აბრაჰამის შეთანხმების სულისკვეთება მაინც გაგრძელდა, თუმცა უფრო ფრთხილი და მულტილატერალიზმზე დამყარებული რიტორიკით (Khalid, 2022). მაშინდელი სახელმწიფო მდივანი, ანტონი ბლინკენი ამბობდა, რომ შეთანხმება პოზიტიური ნაბიჯი იყო და მისი გაფართოება მნიშვნელოვანი იყო (Something we want to build on, 2021). , თუმცა ამავე დროს რეგიონში აშშ-ს ჩართულობა დაკორექტირდა. კერძოდ, აღდგა ურთიერთობები პალესტინის პოლიტიკურ ლიდერებთან და განახლდა

დისკუსიები ორი სახელმწიფოს იდეაზე, როგორც მთავარ პრინციპზე ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაწყვეტის.

როგორ აღვნიშნეთ, ამერიკა გააძლიერა ფოკუსი მილტილატერალიზმზე და მხარი დაუჭირა ნეგების ფორუმს, რომელიც აერთიანებს ისრაელს, ემირატებს, ბაჰრეინის, ეგვიპტესა და მაროკოს და მიზნად ისახავს ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერებას უსაფრთხოების, კლიმატისა და ჯანდაცვის სფეროში. მსგავსი ნაბიჯები ხელს უწყობს ნორმალიზაციას და ეხმარება დიპლომატიას შედეგების მიღწევაში (Ravid, 2022). თუმცა ამასთან, ბაიდენმა შეინარჩუნა სამხედრო და სადაზვერვო თანამშრომლობის ჩარჩოებიც, მათ შორის შეთანხმებები შეიარაღების მიყიდვაზე და საერთო წვრთნები.

2025 წელს ტრამპის დაბრუნებით თეთრ სახლში აღნიშნულმა საკითხმა ახალი იმპულსი შეიძინა. განახლდა სპეკულაციები, რომ ტრამპის გუნდი აქტიურად განიხილავს საუდის არაბეთის ჩართვას ნორმალიზაციის პროცესში შეიარაღებისა და თავდაცვის სფეროში დამატებითი ბენეფიტების მიცემის გზით. თუმცა ამ შეთანხმებას ხელს უშლის ისრაელ-პალესტინის მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც ბარიერს ზრდის არაბული ქვეყნებისთვის.

უსაფრთხოებისა და დიპლომატიური მხარდაჭერის გარდა, ტრამპის ადმინისტრაციამ გამოიყენა მთელი რიგი ეკონომიკური სტიმულები, რათა ხელი შეეწყო ურთიერთობების ნორმალიზებისთვის. ეს იყო როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი მეთოდები, რაც მოიცავდა განვითარების ფონდების შექმნას, სავაჭრო შეთანხმებებსა და ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის კერძო სექტორის თანამშრომლობის მხარდაჭერას. მაგალითად, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებმა და ისრაელმა სწრაფად გამოაცხადეს 3 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის აბრაამის ფონდი, რომელსაც მხარს უჭერს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაცია (DFC) და რომელიც განკუთვნილია ერთობლივი ინფრასტრუქტურისა და ინოვაციური პროექტების დასაფინანსებლად ახლო აღმოსავლეთსა და

ჩრდილოეთ აფრიკაში (US, Israle, UAE Announce Establishment of Abraham Fund, 2020). მიუხედავად იმისა, რომ ეს ფონდი საბოლოოდ შეჩერდა ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში, მისი თავდაპირველი დიზაინი ასახავდა ტრამპის ტრანზაქციულ დიპლომატიას.

პირდაპირი დახმარების გარდა, შეთანხმებამ ხელი შეუწყო ქვეყნების ინტეგრირებას უფრო ფართო რეგიონალურ მიწოდების ქსელსა და გაზრდილ წვდომას ამერიკულ ბაზრებზე. ბაჰრეინისა და ემირატების კომპანიებმა მიიღეს პრივილეგირებული წვდომა ისრაელის ტექნოლოგიურ, ჯანდაცვისა და თავდაცვის სექტორებში, ხოლო ებრაულ ფირმებს მიეცათ წვდომა ყურის საინვესტიციო ეკოსისტემებზე, მათ შორის ისეთ ფონდებზე, როგორიცაა Mubadala და ADQ. ეს კავშირები კიდევ უფრო წახალისდა აშშ-ს შუამავლობით გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმებით სოფლის მეურნეობაში, კიბერუსაფრთხოებაში, ფინტექსა და ჯანდაცვაში. Jones & Lieber, 2022).

ბაჰრეინის და არაბეთის გაერთიანებული საამიროების შედარება

როგორც ბაჰრეინმა, ისე საამიროებმა აბრაჰამის შეთანხმებას ხელი დიდწილად ირანისგან მომავალი საფრთხის გათვალისწინებით მოაწერეს, თუმცა გარკვეული განსხვავებები ამ ორ ქვეყანას შორის მაინც არსებობს.

ბაჰრეინისთვის ირანის გავლენა პირდაპირ აისახება რეჟიმის სტაბულურობასა და ძალაუფლების კონტროლზე. რადგან ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაას შიიტები შეადგენენ, ხოლო მმართველობაში სუნიტები არიან, ბაჰრეინის მმართველებისთვის ირანის სექტარიანული ქსელები რეგიონში წარმოადგენს ქვეყნის საფრთხეს ქვეყნის სუვერენიტეტისთვის. ამ აღქმას, როგორც ზემოთ ვახსენეთ, აძლიერებს 1981 წლის გადატრიალების მცდელობა და სხვა დივერსიული აქტივობები. არაბული გაზაფხულის შემდგომი გამოსვლებიც ქვეყანაში ბაჰრეინის მმართველების მხრიდან აღქმული იყო ირანის უხეშ ჩარევად.

საამიროებისთვის სეტქარიანული საკითხი ნაკლებ როლს თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ მოკრძალებული შიიტური უმცირესობა არსებობს ქვეყანაში, ისინი პოლიტიკურად და ეკონომიკურად მეტად ინტეგრირებულები არიან. UAE უფრო მეტად გარე საფრთხეებზე ფოკუსირდება, მაგალითად, იემენში ჰუსიტებზე, რომელმაც 2022 წელს სარაკეტო და დრონებით შეტევა განახორციელა ქვეყანაზე. გარდა ამისა, ჰორმუზის სრუტეში არსებულ კუნძულებთან დაკავშირებული კონფლიქტი აძლიერებს საამიროების თვალში ირანის საფრთხედ დანახვას.

პრაქტიკული სარგებლის თვალსაზრისით, ემირატებმა შეთანხმების გზით მიიღეს F-35 გამანადგურებლები და MQ-9 დრონები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის შეკავების შესაძლებლობებს. გარდა ამისა, საამიროებს მიეცა წვდომა ებრაულ ტექნოლოგიებსა და საერთო ეკონომიკურ წამოწყებებზე, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ამერიკის მიერ მხარდაჭერილი 3 მილიარდიანი აბრაჰამის ფონდი, რომელიც ინფრასტრუქტურის, განახლებადი ენერგიისა და ინოვაციების სფეროში ინვესტირების შესაძლებლობებს აფართოებს. გარდა ამისა, საამიროების ფონდებმა დაიწყეს საინვესტიციო პროექტების განხორციელება ებრაელებთან თანამშრომლობით სხვადასხვა სფეროში, რაც ეკონომიკის დივერსიფიცირების შესაძლებლობას იძლევა.

ბაჰრეინისთვის ეკონომიკური და სამხედრო სარგებელი შედარებით მოკრძალებული იყო, თუმცა მნიშვნელოვანი. ქვეყანამ მიიღო უფლება ამერიკული F-16-ის განახლებაზე, რაც დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა. გარდა ამისა, დაიწყო ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების განვითარება ისრაელთან, რომელიც მიუხედავად მცირე მოცულობისა, ბაჰრეინს პოლიტიკური თვალსაზრისით აბრაჰამის შეთანმხებით შექმნილ პოლიტიკურ ეკოსისტემაში ინტეგრირების შესაძლებლობას აძლევდა.

საშინაო კუთხით, არაბეთის გაერთიანებულმა გაერთიანებულმა გაერთიანებულმა საემიროებმა ნორმალიზება შეფუთა როგორც ნაბიჯი ტოლერანტობისა და

პროგრესისკენ. ქვეყნის მმართველებმა ხაზი გაუსვეს მშვიდობას, საერთო კეთილდღეობას და რელიგიათაშორის ღირებულებებს. ამასთან, უსაფრთხოების საკითხი და განსაკუთრებით, ირანის რეგიონული აქტივობები ხსენებულ იქნა, როგორც ერთ-ერთი მთავარი მოტივატორი.

ბაჰრეინის გზავნილები უფრო ტრანზაქციული და პირდაპირი იყო. მედიამ და ოფიციალურმა პირებმა ნორმალიზება წარმოაჩინეს, როგორც ეროვნული სტაბილურობისთვის აუცილებელი ნაბიჯი, ხაზს უსვამდნენ საფრთხეს ირანისგან და მისი გავლენის ჯგუფებისგან. შინაგან საქმეთა მინისტრმა რაშიდ ბინ აბდულა ალ ხალიფამ შეთანხმება წარმოაჩინა, როგორც პასუხი ირანის „დომინანტურ ქცევაზე", რაც საჭიროა ეკონომიკური და უსაფრთხოების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული რიტორიკა კვლავ განმეორდა 2021 წლის ღაზას კონფლიქტის დროს საპროტესტო გამოსვლების პარალელურად, როდესაც ბაჰრეინის მმართველობამ უკუაგდო მოწოდებები შეთანხმებიდან გამოსვლის შესახებ და დემონსტრანტები წარმოაჩინა, როგორც ირანის მიერ მართული და მანიპულირებული.

თეორიული ჭრილი

რადგანაც ნეორეალიზმის თეორია საერთაშორისო სტრუქტურის თავისებურებებს ეყრდნობა, ბუნებრივია რომ სახელმწიფოთა ქმედების განმსაზღვრელი თავად სისტემაა. ნეორეალიზმის მიხედვით საერთაშორისო სისტემა

ანარქიულია, ვიდრე იერარქიული. რადგანაც სახელმწიფოები არიან უზენაესი ხელისუფლების გარეშე, მათ უწევთ იზრუნონ საკუთარ თავზე და იმოქმედონ საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

ბაჰრეინის და არაბთა საამიროების გადაწყვეტილება პირველ რიგში აიხსნება იმით, რომ ისინი გაერთიანდნენ ირანის ამბიციების შესაჩერებლად და ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად. აბრაამის შეთანხმების კონტექსტში ნათლად გამოჩნდა, რომ როდესაც ანარქიულ სისტემაში, ერთი (ირანი) სახელმწიფო ცდილობს შეცვალოს

ძალთა ბალანსი რეგიონში, სხვა სახელმწიფოები (ბაჰრეინი, UAE) იძულებულნი იქნებიან საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად სტრატეგიული გათვლები გააკეთონ და მოძებნონ გზები კონკურენტული ძალის შესაკავებლად. ირანის მზარდი გავლენები, მისი მხარდამჭერი პროქსი ჯგუფების გაძლიერება, მათი იდეოლოგიის სხვა ქვეყანაზე თავს მოხვევა, სამხედრო პროგრამების შემუშავება და კავშირების გაფართოება ბაჰრეინმა და არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა აღიქვეს პირდაპირ საფრთხედ. აქედან გამომდინარე მათ თანამშრომლობა დაიწყეს როგორც ისრაელთან, ასევე მის ძლიერ მოკავშირესთან, აშშ-სთან, რათა მოეხდინათ ირანისგან მომდინარე საფრთხეების პრევენცია. სწორედ ნეორეალიზმი ხაზგასმით მიუთითებს უსაფრთხოების დილემაზე.

ირანის ამბიცია ახლო აღმოსავლეთში ჰეგემონობაა და ცდილობს მეზობელი სახელმწიფოები მის გავლენის სფეროში მოაქციოს. მისთვის ისრაელი და დასავლეთის სახელმწიფოები საფრთხეს წარმოადგენს, მას ებრძვის საზღვრებს მიღმა სხვადასხვა ჯგუფების (ჰეზბოლა, ჰამასი, ჰუსიტები) მხარდაჭერით და მათი დაფინანსებით. მისი მიზანია ისრაელის განადგურება, ჰამასისა და ჰეზბოლას დახმარებით. ის ასევე იყენებს სუსტ და არასტაბილურ სახელმწიფოებს საკუთარი ინტერესების გასავრცელებლად.

შესაბამისად, ეს ვითარება ბაჰრეინისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების უსაფრთხოებისთვის სერიოზულ რისკს წარმოადგენს და აბრაამის შეთანხმება სწორედ კარგი შესაძლებლობა იყო იმ პრობლემების დასაზღვევად, რომელიც ირანმა წარმოქმნა. მათ დაიწყეს მოლაპარაკებები ისრაელთან და აშშ-თან სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერებისთვის, რათა დაუპირისპირდნენ ირანისგან მომავალ საფრთხეებს და დაიცვან საკუთარი უსაფრთხოება.

ასევე ნეორეალიზმისთვის დამახასიათებელია მიტმასნება. როდესაც სუსტი სახელმწიფო ცდილობს კავშირი დაამყაროს ძლიერ სახელმწიფოსთან. აბრაამის შეთანხმების კონტექსტში კი როდესაც ბაჰრეინმა და UAE-მ იგრძნო, რომ საფრთხე

ემუქრებოდა მათ სუვერენიტეტს და უსაფრთხოებას, მათ დაიწყეს ღია თანამშრომლობა ისრაელთან და გააძლიერეს კავშირების აშშ-სთან - ქვეყნები, რომლებიც რომლებიც რეგიონულ და გლობალურ ძალას ასხივებენ და მათთან ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობების გაღრმავება არაბული სახელმწიფოებისთვის სასარგებლოა.

ასევე ნეორელიზმის მიხედვით სახელმწიფოთა ქცევა ნაკლებად არის დამოკიდებული ქვეყნის შიდა პოლიტიკურ მოვლენებზე და მის ქცევას განსაზღვრავს სისტემური გარემო. ბაჰრეინისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მათი საზოგადოება არ იყო ერთგვაროვანი ისრაელთან დაახლოების საკითხზე, რეგიონული საფრთხეები, კონკურენცია და ძალთა ბალანსის პრინციპების გადაწყვეტილების მამოძრავებელ ძალად იქცა.

შესაბამისად, შერჩეული თეორიული ჩარჩო განსაკუთრებით რელევანტურია ბაჰრეინისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების მიერ აბრაამის შეთანხმებაში მონაწილეობის გადაწყვეტილების ასახსნელად. ორივე სახელმწიფო მდებარეობს ძალზედ არასტაბილურ რეგიონში, სადაც ირანი, როგორც სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი და იდეოლოგიურად დაპირისპირებული აქტორი, აღიქმება პირდაპირ საფრთხედ მათი ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

სტრუქტურული რეალიზმის პარადიგმის მიხედვით, ისრაელთან — სამხედრო თვალსაზრისით წამყვან რეგიონულ ძალასთან — ურთიერთობების ნორმალიზება შეიძლება განიმარტოს როგორც სტრატეგიული თანამშრომლობა, რომლის მიზანია ირანული საფრთხის დაბალანსება. ამასთან, აშშ-ის ჩართულობა, როგორც გლობალური ჰეგემონისა და რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ძალის, კიდევ უფრო ამყარებს სტრუქტურული რეალიზმის მოსაზრებას, რომ სახელმწიფოთა ქცევა ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში ხშირად მოიცავს ძლიერი მოკავშირეების ძიებას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ამრიგად, აღნიშნული თეორიული ჩარჩო წარმოადგენს ეფექტურ ანალიტიკურ ინსტრუმენტს, რათა ავხსნათ, როგორ გადალახეს ბაჰრეინმა და საამიროებმა პალესტინის საკითხისა და სხვა იდეოლოგიური ფაქტორების მიერ წარმოშობილი წინაღობები და როგორ მოქმედებენ გარე საფრთხეები და სისტემური ზეწოლა მათი საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

ძირითადი მიგნებები

ნაშრომში ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა ბაჰრეინისა და არაბეთის გაერთიანებული საამიროების მიერ აბრაჰამის შეთანხმებაში მონაწილეობის ძირითადი მიზეზები. შემთხვევის შესწავლის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა რომ არაბული ქვეყნების გადაწყვეტილება არ იყო სპონტანური ან მხოლოდ ეკონომიკური განვითარების ნიადაგზე ჩამოყალიბებული. არამედ იგი წარმოადგენდა მკაფიოდ გააზრებულ და ლოგიკურ პასუხს, იმ გარემოზე, რომელიც საფრთხეს უქმნიდა არაბულ სახელმწიფოებს.

კერძოდ, თეორიული ჩარჩოსა და სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ UAE-სა და ბაჰრეინის გადაწყვეტილება ხელი მოეწერათ აბრაამის შეთანხმებისთვის ეფუძნებოდა უსაფრთხოების სფეროში არსებულ გამოწვევებს, რაც გულისხმობს ირანის რეგიონულ ამბიციებს და მის მიერ პროქსი ჯგუფების მხარდაჭერას. ორივე ქვეყანა, თუმცა უფრო მეტად ბაჰრეინი, ირანის გაძლიერებას აღიქვამენ ეგზისტენციალურ საფრთხედ, რაც ვლინდება მუდმივი დაძაბულობით, ტერიტორიული დავებითა და ხშირი დაპირისპირებებით რეგიონში. შესაბამისად, ისრაელთან ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხარდაჭერასთან ერთად, უსაფრთხოების გაძლიერების საშუალებაა, რაც შესაძლებელი გახდა აშშ-ს უშუალო ჩართულობითა და ისრაელის სამხედრო საშუალებებზე გაზრდილი წვდომით.

კვლევაში ისიც გამოიკვეთა, რომ აშშ-მა აბრაამის შეთანხმების მიღწევაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. ტრამპის ადმინისტრაციამ არა მხოლოდ ხელი შეუწყო

მოლაპარაკებების წარმოებას ისრაელსა და არაბულ სქვეყნებს შორის, ამავდროულად მისცა დამატებითი მოტივაცია ბაჰრეინსა და საამიროებს პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების სფეროში მხარდაჭერით. ამით შეთანხმება გადაიქცა ერთგვარ ალიანსის ჩამოყალიბების საფუძვლად, სადაც მონაწილე ქვეყნები გაერთიანდნენ ირანის წინააღმდეგ უსაფრთხოების სფეროში მეტი კოორდინაციისა და გაზრდილი ინვესტიციის საფუძველზე.

რაც შეეხება პალესტინის საკითხს, რომელიც განიხილებოდა ერთ-ერთი მთავარ წინაღობად ისრაელთან ურთიერთობის ნორმალიზაციის გზაზე, აღნიშნულ საკითხი გადაფარა უსაფრთხოების საჭიროებებმა. თუმცა ბაჰრეინისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების მხრიდან შეთანხმება შეიფუთა, როგორც ბერკეტი პალესტინის საკითხზე მეტი ზეგავლენის მოხდენისთვის. თუმცა, უფრო სარწმუნოა მოსაზრება, რომ იდეოლოგიური პოზიციები გადაწონა საგარეო პოლიტიკაში პრაგმატულმა ხედვებმა, რომელიც გამომდინარეობს სტრუქტურული რეალიზმის თეორიიდან, რომ საერთაშორისო სისტემის ანარქიული ბუნება აიძულებს სახელმწიფოებს, მიიღონ რაციონალური გადაწყვეტილებები, რომელიც მიმართულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და თვითგადარჩენისკენ.

ნაშრომში გამოყენებულმა სტრუქტურულმა რეალიზმა ეფექტურად ახსნა აბრაჰამის შეთანხმებაში მონაწილე სახელმწიფოების ქცევა. ბაჰრეინისა და UAE-ს გაერთიანება შეიძლება შეფასდეს სტრატეგიული ალიანსის ჩამოყალიბების მცდელობად, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონში ძალთა ბალანსის გამყარებას ირანის საპირწონედ. ნეორეალიზმის მიხედვით, როდესაც სახელმწიფოები საფრთხეს ხედავენ ახლო სივრცეში, ისინი ან ქმნიან ახალ სტრატეგიულ ალიანსებს ან უერთდებიან უკვე არსებულებს. სწორედ, ეს მოხდა ნორმალიზაციის შემთხვევაში, არაბულმა სახელმწიფოებმა უსაფრთხოების შიდა და გარე გამოწვევების საპასუხოდ, დაამყარეს ფორმალური ურთიერთობა ისრაელთან, რაც მაგალითად ბაჰრეინის

შემთხვევაში, შიდა ეთნიკური დაპირისპირების შიშსა და ირანულ საფრთხეზე რეაგირება იყო.

აღმოჩნდა, რო ეკონომიკური სარგებელი, რომელიც ქვეყნებშა შეთანხმების საფუძველზე მიიღეს, იყო დამატებითი მოტივატორი და არა ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი. ვაჭრობის განვითარება, ტექნოლოგიების გადაცემა და ინვესტიციების შესაძლებლობა ემსახურებოდა პოლიტიკურ-უსაფრთხოების სტრატეგიის განმტკიცებას და არა მის ჩანაცვლებას.

ანალიზმა ცხადყო, რომ აბრაამის შეთანხმება ვერ შეფასდება, როგორც ღირებულებებზე დამყარებული დიპლომატიური ინიციატივა. იგი არის სწორად გათვლილი სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომელიც დაეფუძნა კონკრეტულ სისტემურ ფაქტორებს, რეგიონულ კონკურენციას, ძალთა დისბალანსსა და უსაფრთხოების გამოწვევებს. ამ ნორმალიზაციამ არაბულ სახელმწიფოებს მისცა შესაძლებლობა დაეძლიათ ტრადიციული შეზღუდვები, გადაეფასებინათ ძველი პრიორიტეტები და განეხორციელებინათ საგარეო პოლიტიკური კურსის კორექტირება უსაფრთხოების მაქსიმიზაციის მიზნით.

ზემოთ ნახსენები მიგნებები აჩვენებს, რომ თეორიული და ემპირიული ანალიზის თანხვედრა მნიშვნელოვნად ამყარებს ნაშრომის ჰიპოთეზას და წარმოადგენს საფუძველს შემდგომი კვლევებისთვის იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებენ დიდი და პატარა სახელმწიფოები რეგიონულ საფრთხეების ფონზე და როგორ ეძებენ უსაფრთხოებას ძლიერ პარტნიორებთან თანამშრომლობით.

დასკვნა

2020 წელს დადებულმა აბრაამის შეთანხმებამ დიდი გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ პროცესებზე და საფუძველი ჩაუყარა ურთიერთობის ნორმალიზებას ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის. ბაჰრეინისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების ქმედებამ გადაედგათ ნაბიჯი ისრაელთან

თანამშრომლობისთვის, ნათლად აჩვენა ის, რომ უსაფრთხოება და ეროვნული ინტერესები უმთავრესი ფაქტორია სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის წარმოებისას. მიუხედავად იმისა, რომ მათ ისტორიულად მკაცრი პოზიცია ჰქონდათ პალესტინის საკითხთან დაკავშირებით, გადაწყვიტეს პრაგმატული ნაბიჯის გადადგმა, რამეთუ ირანისგან მომდინარე საფრთხე მათი უსაფრთხოებისთვის პოტენციურად სერიოზული ზიანის მომტანი იყო.

ამრიგად, ნაშრომში სიღრმისეული კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ აბრაამის შეთანხმების დადება უპირველესად განპირობებული იყო ირანისგან მომდინარე უსაფრთხოების გამოწვევებით. არაბთა გაერთიანებული საამიროების შემთხვევაში ირანის რეგიონული აქტივობები, ტერიტორიული დავა და პროქსი ჯგუფების მხარდაჭერა მთავარი ფაქტორებია. ბაჰრეინის შემთხვევაში კი შიდა ეთნიკური ბალანსი და ირანის მიერ შიიტური ჯგუფების მხარაჭერა იყო გადაწყვეტილების საფუძველი. შესაბამისად, ისრაელთან და აშშ-სთან თანამშრომლობა ბაჰრეინისა და საამიროების მიერ განიხილება როგორც ეფექტური გზა ეროვნული უსაფრთხოების გასაძლიერებლად.

სტრუქტურული რეალიზმის თეორიიდან გამომდინარე სახელმწიფოებიც საერთაშორისო ანარქიულ სისტემაში მოქმედებენ როგორც რაციონალური და თვითგადარჩენაზე კონცენტრირებული აქტორები და აყალიბებენ ალიანსებს საკუთარი ინტერესების დასაცავად. სწორედ ამის შედეგად ბაჰრეინმა და საამიროებმა გადალახეს იდეოლოგიური ბარიერები, რომლებიც გამოწვეული იყო პალესტინის საკითხით და პრიორიტეტი მიანიჭეს რეგიონში მშვიდობისა და ძალთა ბალანსის შენარჩუნებას.

ასევე უნდა ითქვას ისიც, რომ ვაშინგტონის ჩართულობამ დიდი როლი ითამაშა აბრაამის შეთანხმების დადებაში. მან შეასრულა მედიატორის ფუნქცია და ასევე, აღმოჩნდა უსაფრთხოების მთავარი გარანტი, რომელმაც ბიძგი მისცა არაბულ სახელმწიფოებს, რომ მონაწილეობა მიეღოთ ისრაელთან თანამშრომლობაში.

ამრიგად, მისმა დიპლომატიურმა ძალისხმევამ და ამასთან, სამხედრო და ეკონომიკურმა დახმარებამ ხელი შეუწყო ნორმალიზაციის პროცესის დაწყებას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შეთანხმება მთავარ მოტივად ეკონომიკური სარგებლის მიღებას გულისხმობდა, აღმოჩნდა რომ ეს ფაქტორი უფრო მეორე ხარისხოვანი იყო ვიდრე, ძირითადი მოტივატორი. ეკონომიკური თანამშრომლობა და ტექნოლოგიური კავშირები დაემატა უსაფრთხოების სტრატეგიას, თუმცა მთავარი მოტივაცია უსაფრთხოების დონის გაზრდა იყო.

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ არაბთა გაერთიანებული საამიროებისა და UAE-ს ქცევა არ იყო განპირობებული იდეოლოგიური ფაქტორებით. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გამომდინარეობს ირანის ამბიციებიდან გახდეს ახლო აღმოსავლეთის ჰეგემონი და გაავრცელოს მისი გავლენა მთელს რეგიონზე. ამრიგად, აბრაჰამის შეთანხმება არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ მოქმედებენ დიდი და პატარა სახელმწიფოები გარე საფრთხეების პირისპირ, როგორ ქმნიან სტრატეგიულ ალიანსებს ამ საფრთხეების აღმოსაფხვრელად და როგორ რეაგირებენ ძალთა ბალანსის შესაძლო ცვლილებაზე.

ბიბლიოგრაფია

ინგლისური წყაროები

1. A conversation with H.E. Anwar Gargash, UAE Minister of State for Foreign Affairs. (2020). Atlantic Council. https://www.atlanticcouncil.org/event/a-conversation-with-h-e-anwar-gargash-uae-minister-of-state-for-foreign-affairs/
2. Alhasan, H. (2011). *The role of Iran in the failed coup of 1981: The IFLB in Bahrain*. ResearchGate. https://www.researchgate.net/publication/236789433_The_role_of_Iran_in_the_failed_coup_of_1981_The_IFLB_in_Bahrain
3. Al-Mazrouei, M. (2015). *Disputed Islands between UAE and Iran: Abu Musa, Greater Tunb, and Lesser Tunb in the Strait of Hormuz*. Gulf Research Center Cambridge. https://www.files.ethz.ch/isn/194095/GRM_Noura_paper__30-09-15_new_7634.pdf
4. Almujaini, A. (2022) THE IRANIAN-ISRAELI THREAT TO THE PEACE AND SECURITY OF THE MIDDLE EAST. Research Gate. https://www.researchgate.net/publication/367148361
5. AL-Ketbi. E. President, Emirates Policy Center. Atlantic Counsil. https://www.atlanticcouncil.org/events/flagship-event/global-energy-forum/dr-ebtesam-al-ketbi/
6. A Time for Talks: Toward Dialogue between the Gulf Arab States and Iran. (2021). Crisis Group. https://www.crisisgroup.org/middle-east-north-africa/gulf-and-arabian-peninsula/iran-united-arab-emirates-saudi-arabia-qatar
7. Bahrain: Issues for U.S. Policy. (2025). Congressional Research Service. https://www.congress.gov/crs_external_products/RS/PDF/95-1013/95-1013.187.pdf
8. Behravesh, M. & Azizi, H. (2020). *Israel's Peace Deals Are a Strategic Nightmare for Iran*. Foreign Policy. https://foreignpolicy.com/2020/09/14/israels-peace-deals-are-a-strategic-nightmare-for-iran/
9. Blinken says Abraham Accords are 'something we want to build on'. (2021). JNS. https://www.jns.org/blinken-says-abraham-accords-are-something-we-want-to-build-on/
10. Bowen, J. (2017) 1967 war: Six days that changed the Middle East. BBC. https://www.bbc.com/news/world-middle-east-39960461

11. Bridging Nations: The Rapid Growth of UAE-Israel Relations. Alsharqi. https://www.alsharqi.co/blog/article/uae-israel-relations/
12. Collier, D. (2011) Understanding Process Tracing. University of California, Berkeley. https://polisci.berkeley.edu/sites/default/files/people/u3827/Understanding%20Process%20Tracing.pdf
13. Cordesman, A. H. (2022). *Iran's Evolving Missile Threat.* Center for Strategic and International Studies (CSIS*). https://www.csis.org/analysis/irans-evolving-missile-threat*
14. Cortellessa, E. (2019). *White House finally unveils 'Peace to Prosperity' economic plan for Palestinians*. The Times of Israel. https://www.timesofisrael.com/white-house-finally-unveils-peace-to-prosperity-economic-plan-for-palestinians/
15. Dana, D. (2023). *The Geopolitics of the Abraham Accords: A Critical View on Militarization*. Pathways to Renewed and Inclusive Security in the Middle East. https://prismeinitiative.org/blog/abraham-accords-tariq-dana/
16. Ebrahim, H. (2023). *Bahrain Sole Gulf Country Publicly Supporting Prosperity Guardian Coalition; Others Will Benefit With Aim To Stop Houthis*. Themedialine. https://themedialine.org/top-stories/bahrain-sole-gulf-country-publicly-supporting-prosperty-guardian-coalition-others-will-benefit-with-aim-to-stop-houthis/
17. El-Masry, A. (2021). *The Abraham Accords and their cyber implications: How Iran is unifying the region's cyberspace*. Middle East Institute. https://www.mei.edu/publications/abraham-accords-and-their-cyber-implications-how-iran-unifying-regions-cyberspace
18. Elmali, B. (2025) Did the Abraham Accords destabilise geopolitics in the Middle East? Lse review of books. https://blogs.lse.ac.uk/lsereviewofbooks/2025/03/12/book-review-the-abraham-accords-the-gulf-states-israel-andd-the-limits-of-normalisation-elham-fakhro/?utm
19. El Kurd, D. (2023) Assessing the Abraham Accords. Three Years On. Arab Center Washington Dc. https://arabcenterdc.org/resource/assessing-the-abraham-accords-three-years-on/
20. Fakhro, E. (2021). *Selling Normalization in the Gulf*. Middle East Research and Information Project. https://merip.org/2021/06/selling-normalization-in-the-gulf/
21. Guzansky, Y. & Michael, K. (2020), *The Emerging Abraham Accords: The Challenges of Positive Change*. FIKRA Forum. https://www.inss.org.il/wp-content/uploads/2020/09/The-Emerging-Abraham-Accords-The-Challenges-of-Positive-Change-Yoel-Guzansky-Kobi-Michael-Washinigton-Institutes-Fikra-Forum-for-site-1.pdf
22. Gaza war: What is the history of the Israel-Palestinian conflict. (2024). Reuters. https://www.reuters.com/world/middle-east/what-is-history-israel-palestinian-conflict-2024-12-17/
23. Ghuloom, M. (2025). *Assessing Trade within the Abraham Accords*. The Observer Research Foundation Middle East. https://orfme.org/research/israel-abraham-accords-trade-analysis/
24. Hamilton, D. (2022). *The Abraham Accords, Iran, and Security in the Middle East*. Al Fusaic. https://www.alfusaic.net/blog/amplify/the-abraham-accords-iran-and-security-in-the-middle-east
25. Lotha, G. (2025) Arab-Israeli wars. Britannica. https://www.britannica.com/event/Arab-Israeli-wars
26. Israel deal protects Bahrain's interests amid Iran threat, minister says. (2020). Reuters. https://www.reuters.com/article/us-israel-gulf-usa-bahrain-interior/israel-deal-protects-bahrains-interests-amid-iran-threat-minister-says-idUSKBN26538H/

27. Israel-Arab relations: the shift that is transforming politics and economics in the Middle East. (2023). FocusEconomics. https://www.focus-economics.com/blog/israel-arab-relations
28. Ji-Hyang, J. (2022) - Deepening UAE-Israel Strategic Cooperation after the Abraham Accords. The Asan Institute for Policy studies. https://www.jstor.org/stable/resrep39849?searchText=Deepening+UAE-Israel+Strategic+Cooperation+after+the+Abraham+Accords&searchUri=%2Faction%2FdoBasicSearch%3FQuery%3DDeepening%2BUAE-Israel%2BStrategic%2BCooperation%2Bafter%2Bthe%2BAbraham%2BAccords%26so%3Drel&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&refreqid=fastly-default%3Aa2dca8adc32b71183a6df4f4ef37cfa7&seq=1
29. Jones, R & Lieber, D. (2022). *U.A.E. Just Invested $100 Million in Israel's Tech Sector As Both Countries Get Closer.* Abraham Accords Peace Institute. https://www.aapeaceinstitute.org/latest/u.a.e-just-invested-100-million-in-israels-tech-sector-as-both-countries-get-closer
30. Kateb, A. (2025) The Abraham Accords After Gaza: A Change of Context. Carnegie Endowment for International Peace. https://carnegieendowment.org/research/2025/04/the-abraham-accords-after-gaza-a-change-of-context?lang=en
31. Khalid, A. (2022). *Biden is building on the Abraham Accords, part of Trump's legacy in the Middle East.* NPR. https://www.npr.org/2022/07/09/1110109088/biden-is-building-on-the-abraham-accords-part-of-trumps-legacy-in-the-middle-eas
32. Khurma, M., Farley, A., Sherman, B. & Harb, F. (2020). *News Roundup: UAE, Bahrain Normalize relations with Israel*. Wilson Center. https://www.wilsoncenter.org/article/news-roundup-uae-bahrain-normalize-relations-israel
33. Knights, M. & Levitt, M. (2018). *The Evolution of Shia Insurgency in Bahrain*. The Washington Institute. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/evolution-shia-insurgency-bahrain
34. LAS Khartoum Resolution. (1967). United Nations. https://www.un.org/unispal/document/auto-insert-193039/
35. Loft, P. (2024) Iran's influence in the Middle East. House of Commons library. https://researchbriefings.files.parliament.uk/documents/CBP-9504/CBP-9504.pdf
36. Markovsky, D. & Kram, J. (2021). *Think Regionally: A US Role for Deepening the Abraham Accords*. The Washington Institute. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/think-regionally-us-role-deepening-abraham-accords
37. Mehta, A. (2020). *US State Dept. approves UAE's purchase of F-35 jets, MQ-9 drones.* Defense News. https://www.defensenews.com/global/mideast-africa/2020/11/10/uae-purchase-of-f-35-mq-9-officially-cleared-by-state-department/
38. Munir, K. & Cheema, S. (2023). *Abraham Accord and its Implications: A Case Study of Bahrain*. Journal of Political and International Studies. https://jpis.pu.edu.pk/45/article/view/108
39. Munir, K. Cheema Saira (2021) Abraham Accord and its Implications: A Case Study of Bahrain. Journal of Politics and International Studies. https://pu.edu.pk/images/journal/politicsAndInternational/PDF/3_v7_2_2021.pdf
40. Nahyan, K. (2013). *The Three Islands: Mapping the UAE-Iran Dispute.* Royal United Service Institute. https://www.rusi.org/explore-our-research/publications/rusi-books/the-three-islands-mapping-the-uae-iran-dispute

41. Pasha, A. (2012). The Gulf Cooperation Council: a regional approach to peace, security and development. Journal of the Indian Ocean Region. https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/19480881.2012.683630
42. Ravid, B. (2022). *U.S., Israel and several Arab countries establish Negev Forum*. Axios. https://www.axios.com/2022/06/29/negev-forum-israel-bahrain-uae-us
43. Rahmani, M. (2024) Volume of trade between Isarel regime, Arab states grow. MEHR News Agency - https://en.mehrnews.com/news/219800/Volume-of-trade-between-Isarel-regime-Arab-states-grow?utm_source
44. Ross, D. (2022). *The Abraham Accords and the Changing Shape of the Middle East*. The Washington Institute. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/abraham-accords-and-changing-shape-middle-east
45. Rumley, G. (2022). *Unpacking the UAE F-35 Negotiations*. The Washington Institute. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/unpacking-uae-f-35-negotiations
46. Saeed,N. (2024) Bahraini Voices Against Normalization with Israel, Arab Reform Initiative https://www.arab-reform.net/publication/bahraini-voices-against-normalization-with-israel/
47. Sachs, N. & Pita, A. (2020). *What prompted the UAE and Bahrain's normalization of relations with Israel?* Brookings Institute. https://www.brookings.edu/articles/what-prompted-the-uae-and-bahrains-normalization-of-relations-with-israel/
48. Salman, Y. (2024). *Tourism and Normalization—The Case of Abraham Accords*. Taylor & Francis. https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/21568316.2024.2402325
49. Sawe, B. (2017) Why is it Called the Middle East? World Atlas https://www.worldatlas.com/articles/why-is-it-called-the-middle-east.html
50. Sharp, J. (2024). *The United Arab Emirates (UAE): Issues for U.S. Policy*. Congressional Research Service. https://sgp.fas.org/crs/mideast/RS21852.pdf
51. Steinber, G. (2021). *The "Axis of Resistance" Iran's Expansion in the Middle East Is Hitting a Wall*. Stiftung Wissenschaft und Politik. https://www.swp-berlin.org/10.18449/2021RP06/
52. Stephens, M. & Stein, A. (2020). *The Abraham Accords: The View from the Gulf.* Foreign Policy Research Institute. https://www.fpri.org/article/2020/09/abraham-accord-view-gulf/
53. Trump D. (2020) Joint Statement of the United States, the Kingdom of Bahrain, and the State of Israel. X. https://x.com/realDonaldTrump/status/1304464848831631361/photo/1
54. Teach Mideast. (2023) What is the Middle East? https://teachmideast.org/what-is-the-middle-east/?utm_source
55. The Abraham Accords Declaration. (2017-2021). The U.S. Department of State. https://2017-2021.state.gov/the-abraham-accords/
56. The Abraham Accords two years on: from ambition to reality. (2022). Elcano Royal Institute. https://www.realinstitutoelcano.org/en/analyses/the-abraham-accords-two-years-on-from-ambition-to-reality/
57. The Abraham Accords Declaration. U.S. Department of State. https://www.state.gov/the-abraham-accords
58. US, Israel, UAE Announce Establishment of Abraham Fund Following Accords Commitment. (2020). U.S. Embassy in Emirates. https://ae.usembassy.gov/us-israel-uae-announce-establishment-of-abraham-fund-following-accords-commitment/

59. Vakil, S. & Quilliam, N. (2023). *The Abraham Accords and Israel–UAE normalization Shaping a new Middle East*. Chatham House. https://www.chathamhouse.org/sites/default/files/2023-04/2023-03-28-abraham-accords-israel-uae-normalization-vakil-quilliam-1.pdf
60. Yadlin, A. (2022). *The Attack on Abu Dhabi: Dilemmas, Threats, and Opportunities*. The Jerusalem Strategic Tribune. https://jstribune.com/yadlin-the-attack-on-abu-dhabi/
61. *Yossef A. (2021. The Regional Impact of the Abraham Accords. Modern War Institute https://mwi.westpoint.edu/wp-content/uploads/2021/02/regional-impact-abraham-accords.pdf*
62. *Yom Kippur War. (2025). HISTORY.com Editors. https://www.history.com/articles/yom-kippur-war*

ქართული წყაროები

- ლოლაძე, გ. (2023) ვინ არიან ისრაელ-ჰამასის კონფლიქტის მთავარი აქტორები? რეალპოლიტიკა. https://realpolitika.ge/ge/longread/vin-arian-israel-hamasis-konfliqtis-mtavari-aqtorebi-mimokhilva
- ღლონტი, ვ. (2024) ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი და ირანის ფაქტორი. რონდელის ფონდი. https://gfsis.org/israel-palestine-conflct/
- თოლორდავა, გ. (2024) რატომ უპირისპირდება ირანი ისრაელს და რა როლი აქვს კონფლიქტში ჰამასს? Business Media. https://bm.ge/news/ratom-upirispirdeba-irani-israels-da-ra-roli-aqvs-konfliqtshi-hamass
- ლომიძე, ნ. (2023) აბრაამის შეთანხმება – პროცესი, რომლის საბოტაჟსაც ირანი ცდილობს. ახალი ამბები. https://tabula.ge/ge/news/710306-abraamis-shetankhmeba-protsesi-romlis
- ახალაძე, თ. ხიზანაშვილი, მ. (2015) ნავთობმომპოვებელი სახელმწიფოების როლი სპარსეთის ყურის რეგიონში. Intermedia. https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/59140-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A8%E1%83%98/20/

- წულაძე, ლ. (2020) სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. http://css.ge/wpcontent/uploads/Tsuladze_Sociologiuri_Kvlevis_Tvisebrivi_Metodebi.pdf